

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻ

ԽՈՏ



ԽՈՏ ԽՈՏ



ԽՈՏ ԽՈՏ
9

მუზათა საქონისათვის იყავ გზად!

„პოლენი“

საქართველოს პ. კ. ი. ცენტრალური
გიურის და განეთლების სახალხო კო-
მისამიათის უსანალი გამზოთათვის.

№ 9

სექტემბერი
IX 1934 IX

რედაქციის მისამართი: აღმ კერძო
საჩ, № 7. სახლგამი, საბავშვი და
ახალგაზრდობის სეფორი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ქობულეთში,—ცეკვის	1
2. „კოშკის უბანში“,—გ. მანჯგალაძისა	3
3. როგორ გახდა ივად პიონერი შავა,—მარიკა მიქელაძისა	5
4. ტფილისი,—დ. ბერიკაშვილისა	5
5. ისევ ყიჯინა,—ლაგრენტი ჭიჭინაძისა	6
6. გმირი ბავშვი,—მ. ებრალიძისა	9
7. აიშე—პ. ლორიასი	11
8. პატარა საყვედლური,—გიორგი კაჭახიძისა	15
9. ახალგაზრდობის XX საერთაშორისო დღე	15
10. ბავშვთა ბაგის მასწავლებელთა სიმღერა,—შ. ნავთლულელისა	16
11. პირველი გაფრენა,—მიმქრალისა	17
12. შეუწამლავი ოქსლი,—შ. სამადაშვილისა	20
13. ალბომი,—მარიკა მიქელაძისა	20
14. პიონერული,—ლ. ასათიანისა	23
15. რა არის ბაქტერიოფაგი, —ლ. ბ.-ის	23
16. ბერკეტი—თარგმანი შ. თაბუკაშვილისა	25
17. როგორ აღმოაჩინეს ჩრდ. დიდი გზა, —რ. ს.-ისა	26
18. სიმღერა,—ნოტებით თ. შავერზაშვილისა	
19. ილუსტრაციები,—მხატ. გ. კახიძისა	

პ/ვ. რედაქტორი: აკადი რეზონაზვილი.

პ/ვ. მდივანი: ლაშრ. პიჭინაძე

ქოგულეთში

— არ გიკვირს, კაცო, ქობულეთში ბავშვების ხმა სულ არ ისმის არც სახლში და არც გარეთ. სამოცი ბავშვი ხუმრობა საქმეა... ერთი შეხედე, რა ჭირიანად და დარბაისლურად სხედან!

— აი ჩემო, ძმაო, კარგმა პატრონობამ ეგიცის. ეგ ახალგაზრდა ხელმძღვანელები ლამის ზედ შეელიონ, თავს ისე დასტრიალებენ.

— კაცო, პირდაპირ გაკვირვებასა ვარ!

ამ ლაპარაკით დამსვენებელმა მუშებმა ქობულეთის პლიაუისაკენ ფიჭვნარის ხეივანი გაიარეს და თეთრად გადაპენტილი მაგნოლიების გვერდით სკაზე ზღვის პირად ჩამოსხდენ.



ვარჯიშობითა და ცეკვით მოღლილი ბავშვები ხავერდივით გაფენილ მწვანე მოლქე ისხდენ და ხმაგაკმენდილები ერთ ამხანაგს უსმენდენ.

ზემოდან აქოჩილი ფიჭვნარი ხშირ ჩრდილს აყენებდა ლურჯ ზღვის ფონზე ფერად ტან-საცელით ამოკემისილ პიონერთა ბანაკს.

წყნარი დღე იყო, და იქვე ახლო ტალღების მიერ ჩახვეტილი კენჭების ჩერილი ბავშვებს განუწყვეტლივ უალერსებდა.


დასავლეთიდან გადახრილ მზეს ზღვის სიგანეზე ოქროს გზატკეცილი აეპრიალებია და უთვალავ პაწა ტალღაზე გაბნეულ თვალმარგალიტად ბრწყინავდა.


სარეწაო კავშირის უზარმაზარი დასასვენებელი სახლის ორმოცდაათი ფანჯარა მზისა და ზღვის ანარეკლი ელვარებით ისე იყო გაშუქებული, თითქოს ცეცხლი უკიდიაო. საქართველოს ყველა კუთხიდან თითო-ორთლობით შე-

კრებილი პიონერთა ბანაკი თავისი წესითა და უჩვეულო დისკიპლინით სამასი დამსვენებლის გაკვირვებას იწვევდა. საღამოს ბანაობის წინ ბავშვებს თვალყურს აღევნებდენ და მათ შორის ერთ-ერთ მოლაპარაკეს ჩუმად უსმენდენ.

მაღალი, შავად გარუჯული კახელი ბიჭი ბანაკის შუა ალაგას ცალ მუხლზე დარიჭილიყო და პირმოლიმარი ამხანაგებს გატაცებით რაღასაც უამბობდა. თხრობის დროს ბავშვს მორევით შავ თვალებში ზოგჯერ ცეცხლი ეკვესებოდა, ზოგჯერ კი მორცხვად ძირს დაიხრებოდა და მარჯვენა ხელით ბალას წიწვნიდა. მაგრამ ზღვის ლურჯ სივრცეს თვალს რომ გააყოლებდა, იმის სახეზე ისეთი სიამოვნება იხატებოდა, რომ ლამაზი ქართული თხრობა მისი გულიდან თავისთავად იბადებოდა.

— ჰო და იმ ღამეს იმ ჩვენმა ბებრები „ქშიტინამ“ ისეთი დახმარება გაგვიწია, ჩვენი გადამწვარი ელექტრომავლით რომ მოგვათრია შორის ახლო დიდ მოაჯირიან ხიდთან იყო მომდგარი, რომ შორიდან იყიდვალა და თითქოს სრიალსაც უმატა. მე სულ ფანჯარაში ვიხედებოდი. ერთი წუთითაც არ დამძინებია. ან რა დამაძინებდა. ელექტრომავალი პირველად ვნახე და ხაშურში მისი ხმა რომ გავიგონე, ჭართალი გითხრათ, სულ ურუანტელმა დამირბინა ტანში. აღარც დიდი საკვამლე მილი, აღარც





შავად შეღებული ბოლი, არც დამაყრუებელი ქშიტინი და არც ორთქლის შხუილი. წყნარი, მშვიდი ელექტრომავალი ისარივით რომ მიქრის, მხოლოდ ლიანდაგს გაუდის მისი სიმძიმისაგან გუგუნი. ჩვენი ტრამვაისავით ზემოთ გაჭიმულ მავთულს რკინის ხლართებით უერთდება და ოქვენც ხომ დაინახავდით, ხანდახან იმ მავთულებზე ელექტრონაპერწკლები ლურჯად აპრიალდება და იმ წამსვე ქრება. ერთ რამეში კი უნდა გამოგიტყდეთ: სანამ გვირაბში შევიდოდით, სულ ეკლებზე ვიჯექ. ვიცოდი, რომ შუა ადგილიდან დასავლეთისაკენ დაქანება იწყება, საიდანაც მემანქნებს მატარებელი ხშირად გაჰქიცევიათ და წიფასთან, ან მოლითთან ძლივს დაუჭერიათ, ისეთი სიძლიავრით მოდის იქიდან. ზოგჯერ ეს დაქანება მარცხითაც დასრულებულა და ამისათვის გულში შიში მქონდა. როცა ელექტრომავალმა გვირაბის წინ იყივლა და შავ-ბნელ ჯურლმულში შეგვასრიალა, ვაგონების ჭრიალი, ელექტრომავლის უცნაური წყნარი ხმაური გვირაბში ერთიორად გაძლიერდა, და გულმა ფანცქალი დამიწყო. მაგრამ სიბნელე გარედან შესვლის პირველი შთაბეჭდილება იყო. სულ მალე შევამჩნიე, რომ გვირაბი ელექტროშუქით იყო განათებული. მკვიდრად და სუფთად ამოშენებული კედლები მრავალ ადგილას უზარმაზარი მთიდან გამოყონილი წყლით უხვად იცრემლებოდა. კედლელთან ახლო, მარცხენა მხრივ, საითაც მე ვიხედებოდი, ვიწრო ლიანდაგი მისდევდა; ეს, ალბათ, სამუშაო ურიკების გზაა. როცა გვირაბში რამე დაზიანდება, ალბათ, ამ გზით შეაქვთ და გააქვთ ყოველივე საჭირო მასალა. ვფიქრობი ჩემთვის და გაორკეცებული ყურადღებით გათვალიერებდი გვირაბს. უცებ მომეშმა: „ტრამ... ტრამ... ტრამ... ტრამ...“ — აპა, ესეც შუა ადგილი, — გავითიქრე მე და თვალები უფრო კარგად გავაჭყიტე მატარებლის თვლების ისარზე დიდი ძრგვალი ზარი მაგრად ირეკებოდა და აშით ყველას ამცნობდა, რომ დაქანება იწყებოდა.


ამ ადგილზე ჩვენმა ელექტრომავალმა ერთი კიდევ წამოიყვირა, და შევამჩნიე, რომ სრულად ფერის ძლიერ უკლო და თანასწორი ცილინდრი იწყო სრიალი.

— აი, დედა, რა დიდი ძალა აქვს, — წამოვიძახე ჩემთვის და არასოდეს ადამიანის გონებისაღმი აღფრთვანება და აღამიანის სიყვარული ისე არ გამიცდია, როგორც მაშინ ვიგრძენ. უნდა გითხრათ, ამხანაგებო, მთელი ჩემი გულით ვინატრე, რომ მეც ისეთი ადამიანი გამოვსულიყავ, რომ ჩემი გამოგონებითაც კაცობრიობისათვის თვალსაჩინო სარგებლობა მომეტანა.

— ჰო და აკი შენც ლექსებს იგონებ, მეტი რაღა გინდა, შენც ხმე ბეღინიერი ხარ?

ვერ მოითმინა პატარა ნონამ და გენოს სიცილით შეხედა.

— ეც! ეგ რა! ჩემისთანა მელექსე ვინ იცის რამდენია, — მორცხვად უპასუხა გენომ და ბალახისაკენ უარესად დაიხარა, გაწითლებული სახე წუთით დამალა.



— ნონა, ნუ უშლი, — გენოს ზურგს უკან ვიღაცამ შენიშნა, და გენომაც თავისი თხრობა ისევ დალაგებით განავრძო.

— ყველაზე ძალიან მე ის მომწონდა, რომ ელექტრომავალს წინ ისეთი დიდი შუქი მიუძღვის. ღამის წყვლიაღში ეს შუქი ატეხილ ტყეებს მწვანედ რომ აშუქებს, იმის ნახვას არაფერი არ სჯობია. მერე გვირაბის შემდეგ რა დაკლაკნილი და რა ლამაზი გზა არის! მე მეგონა, მარტო ჩემი კახეთი, ალაზნის დაქანებული ველებით, თოვლიანი ლეკის მთითა და ცივგომბორით არის ლამაზი მეთქი და, თურმე, იმერეთიც დახატული ყოფილა და აკი თვალს ვერ ვაცილებდი! თან შიშმა ამიტანა: ამ ვიწროდ დაკლაკნილ ხეობაში ისე სწავად წამოვიდა მატარებელი, როგორც ნიავი. ახლა ხომ იცით, ჩენს რკინისგზებზე ზოგჯერ რაღაცები მოხდება ხოლმე და, ცოტა არ იყოს, შიში ჭიასავით გულის სიღრმეში მიძვრებოდა.

(დასასრული იქნება).

ცქვიტი.

„პოშპის უბანში“

განთიადის მახარობელმა კოხტა დეზებიანმა მამალმა რამდენჯერმე დაიყივლა, სოფელს გათენება ახარა.

მაგრამ გაღვიძებას ჯერ არავინ აპირებს.

მთებზე შეფენილ ხშირ ტყეებში დილის ოხშივარი ასდის. ბალახებში ჩაწოლილი ცვარი მარგალიტივით ბზინავს ამომავალ მზის სხივებზე. ორგვლივ სიჩუმეა.

სძინავს კველას.

დილის ტკბილი ძილით სძინავს ბანაკსაც.

დიდ ეზოში ჩამჭკრივებულ ხის ბარაკებში ჯანსაღად სუნთქვევნ მძინარი ბავშვები. არ სძინავთ მხოლოდ ბანაკის ღამის დარჯესა და მორიგეს. მამლის ყივილს პირდაბანილი შეხვდა მორიგე. მტელ სოფელში პირველად მან გამოიღვია, რაღვან ის ღლეს ბანაკის მორიგეა, — მთელი ბანაკის საქმიანობის ხელმძღვანელი და მეთვალყურე. ის ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ დღეს ზუსტად და ხალისიანად შესრულდეს დღის რეჟიმი. ხშირად საათს დაჰყურებს და ჯავრობს, რომ დრო ასე წელა გადის. მაგრამ აი საათის ისრები უკვე რვის 20 წუთს უჩვენებს. ღრმა ნიშანი მისცეს მებუკეს, რომელიც პატარა ბორცვზე დგას და მორიგის განკარგულებას ელის.

არც ის იგვიანებს და ხელის აწევით ანიშნებს: „დაიწყე“ ბუკის მცექარე ხმამ დაარღვია მყუდროება.

ცოტა ხანიც, და თითქმის ერთსა და იმავე დროს გაიღო რვა ბარაკის კარები.

გამოჩენა ნამძინარევი სახეები. კველანი ეზოს შუაგულისაკენ მიემართებიან. იქ მათ მორიგე უცდის და ისინიც მარდად მიდიან მისკენ.

— ბანაკი, სმენა! — ისმის მორიგის ხმა.

— მუშათა კლასის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!

ამ დევიზს მორიგე ოთხ ენაზე იმეორებს და პასუხად ოთხ ენაზე წარმოთქმულ: „მზად ვარ!“-ს ღებულობს. 500 ბავშვის ხმას ორკესტრის მარშის გუგუნიც უერთდება, შემდეგ ხმაურობა ნელნელა სუსტდება და კვლავ სიჩუმე მყარდება.

ათასი თვალი ცნობისმოყვარებით უცქერის ანძასთან მდგარ მორიგეს; კველას უნდა რაც შეიძლება ჩქარი გაიგოს დღევანდელი დღის რეჟიმის შინაარსი. მორიგეს ეს კარგად ესმის. ის არ იგვიანებს, ჯიბილან ბლოკნოტს იღებს

და ბანაკს აცნობს იმ მრავალფეროვან საქმეებს, დღეს რომ უნდა შესრულდეს.

კველა კმაყოფილია დღის რეჟიმის საკითხებით. ყველ რაზმს წილად ხვდა საინტერესო საქმის შესრულება. მაგრამ კველაზე მეტად დღევანდელი დღის რეჟიმით კმაყოფილია მესამე რაზმი. ეს რაზმი საუზმის შემდეგ უნდა წავიდეს საექსკურსიოდ „კოშკის უბანში“.

— რა არის იქ საინტერესო? რას გააკეთებენ?

ეს არავინ იცის, მესამე რაზმის გარდა.

საექსკურსიოდ რაზმი 9 საათზე წავა ბანაკიდან.

ჯერ რვაც არაა. მორიგესთან ფიზკულტურის ინსტრუქტორი მიღის და რაღაცას ეუბნება, შემდეგ ბავშვებს მიმართავს.

— სმენა! განმკლავი!

ზზისგან დამწვარი ათასი მკლავი ფრთებივით იშლება. ბანაკი იწყებს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, რომელიც 15 წუთს გრძელდება.

ცივი წყაროს წყლით პირის დაბანის შემდეგ რაზმები შეუდგენ საუზმის ჭამას. საუზმე 9 საათზე დასრულდა. დაიწყო სამუშაო დღე.

თითოეული რაზმი თავისი საქმის შესასრულებლად მიეშურება. კველა საქმიანობს; მეშვიდე რაზმის პიონერები ბანაკის ფართო ეზოს სხვადასხვა ადგილას და ბარაკებთან დგანან. ისინი დღეს ბანაკში მორიგობენ. პირველი და მეორე რაზმის პიონერები ბარაკებში დაფუძვლისტებენ, ასუთავებენ და წმენდენ. ეზოში გამოჩენენ ოქტომბრელებიც. მათთან არიან საშეფო პ/რაზმის მოზრდილი პიონერებიც. ოქტომბრელები ჯგუფად ეწყობიან და შეფი პიონერების წინამდლოლობით ტოვებენ ბანაკის ეზოს. ოქტომბრელები ახლა ტყისაკენ მიემგზავრებიან. იქ მათ უცდის ქოლგასავით გადაშლილი სოკოები, აქა-იქ ჯერ კიდევ დარჩენილი მარწყვი და შრიალა ხშირი ტყე.

ეს საუკეთესო გასართობი და საყვარელი ადგილია ბანაკის ოქტომბრელთათვის. ამიტომაც ისინი პაწია ფეხებს მარდად ამოძრავებენ და ცდილობენ რაც შეიძლება მალე მივიდენ საყვარელ ტყეში.

ოქტომბრელების შორიახლოს მოდის მესამე რაზმი. რაზმი ჩქარი ნაბიჯით მიღის, თითქოს უნდა ოქტომბრელებს წინ გაუსწროს. „ტყეში

ხომ არ მოდიან, ვაი თუ მოგვასწრონ და მარ-
ტყვი სულ მაგათ შეგვიჭამონ!“ — ფიქრობენ
ოდნავ შეშინებული ოქტომბრელები და ნა-
ბიჯს უმატებენ. მაგრამ აი რაზმა უცებ მარჯ-
ვნივ გადაუხვია, ტყისაკენ მიმავალ გზას თავი
დაანება და სოფლისაკენ მიმავალი გზით გაე-
მართა. ოქტომბრელთა ჯგუფი და პიონერთა
რაზმი სხვადასხვა მხარეს მიღიოდენ: პირვე-
ლი — ტყისაკენ, მეორე კი „კოშკის უბნი-
საკენ.“.

**

პატარა გორაკს, რომელზედაც დგას ძველი
დანგრეული კოშკი, ყოველი მხრიდან შემო-
ესინ პიონერები. თითქოს მტრის ჯარი აპი-
რებს კოშკის განადგურებას, კოშკს ალყა შე-
მოარტყა პიონერ რაზმა, ხოლო შემდეგ მის
ახლოს შეჯგუფდა.

— როგორ დანგრეულა!

— ალბათ, სიბერისაგან.

— შეიძლება მტრის შემოსევისაგან!

— ვინ იცის, რამდენი ტყვია მოჰკვედროა
მის ბებერ გვერდებს! ან რამდენი კაცი დაცე-
მულა აქ ბრძოლის დროს!

ასეთ ლაპარაკში იყვნენ გართული პიონე-
რები, როცა რაზმის ხელმძღვანელმა უორა თა-
მაზოვა მათ ანიშნა დამსხდარიყვნენ.

— აი, ეს არის ის კოშკი, რომლის სახელ-
საც მთელი ეს უბანი ატარებს, — დაიწყო თა-
მაზოვა — ჩვენი აქ მოსვლის მიზანი თქვენ
ყვილამ იცით; მაშ დავიშვით: აბა თვალი გა-
დაავლეთ ამ ფართე ველს, რომელზედაც რკი-
ნისგზის შტოა გაყვანილი. ერთი გზა სტალი-
ნისიდან ბათომისაკენ მიემართება, მეორე კი
ბორჯომისაკენ. ახლა გახედეთ მტკვრის ხეო-
ბაში ჩაწოლილ ტყიან მთებს, ანდა იმ სოფელს.
მთელი ეს მიდამო და კიდევ იქით შორს, მთე-
ბის იქით გაშლილი ტყეები, მინდვრები და
სოფლები ერთ პირს ეკუთვნოდა. ის იყო ამ
ვეებერთულა აღგილების ბატონ-პატრონი. ზო-
გიერთმა თქვენთაგანმა შეიძლება იცის კიდევ
მისი გვარი.

— სუმბათაშვილი! — წამოიძახა რამდენიმე
პიონერმა ერთხმად.

— ცწორე! ამ აღგილების პატრონი ვასო
სუმბათაშვილი იყო. თუ ვინმეს წაგიკითხავთ
მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დაწერილი „არ-
სენა მარაბდელი“, ბევრი რამ გეცოდინებათ
სუმბათაშვილის შესახებ. სუმბათაშვილი, რო-
გორც ყველა ბატონი, სულს პხდიდა გლეხებს,
დღედაღამ ამუშავებდა. თავის ყმებს და თუ

რომელიმე მათგანი მძიმე შრომისაგან დაიცვნება
სებდა, შოლტითა და მათრახებით უძალავდება
დებოდა. ამ სოფელში, აქვე ახლოს, ახლაც
ცხოვრობს ერთი გლეხი, რომელიც მისი ყმა
იყო. ის ახლა 118 წლის მოხუცია, მაგრამ ყვე-
ლაფერი კარგად ახსოვს, სუმბათაშვილის
როზგებიც და პურმარილიც.

— როგორ თუ პურმარილი, განა ის გლე-
ხებს აქეიფებდა! — გაკვირვებით წამოიძახა
ერთმა პიონერმა.

— დიახ, ხანდისხან აქეიფებდა კიდეც.

— საკვირველია! მაშინ ის არ ყოფილა
მრისხანე ბატონი, — კიდევ უფრო გაკვირვე-
ბით თქვა იმავე პიონერმა.

— არა, ეს სრულიად არაა საკვირველი, ჩე-
მო ვანო, და აი რატომ: სუმბათაშვილი ჩვეუ-
ლებრივი ბატონი იყო, მაგრამ ამავე დროს დი-
დი ეშმაკი და მოხერხებული. ის ხედავდა, რომ
მარტო ცემითა და დასჯით იმდენს ვერ მიი-
ღებდა გლეხებისაგან, რამდენიც მის გაუმაძლარ
მუცელს დააკმაყოფილებდა. ამიტომ ის მიმარ-
თავდა მოტყუების ხერხს. უფრო ურჩ და სა-
შიშ გლეხებს ის ზოგჯერ სახლში მიიპატიუებ-
და, აქეიფებდა და მათთან ჭიდაობდა კიდეც.

ამით ის ზოგიერთ გლეხებს თვალს უხვევ-
და, თავს აჩვენებდა კეთილ ბატონად, ხოლო
მათ ქაფში დახარჯულ ხარჯებს მეორე დღეს-
ვე ინაზღაურებდა, მეტს შეაწერდა გადასახა-
დებს ან მეტს ამუშავებდა. იმ 118 წლის
გლეხს, რომლის შესახებაც მე თქვენ ზევით
გელაპარაკეთ, ბევრჯერ უქეიფია, თურმე, მის
სახლში. მაგრამ ქეიფი ძვირად დასჯლომია,
რადგან მერე ერთორად უნდა ემუშავა ბატო-
ნისათვის და მეტი გადასახადიც უნდა მიეცა.

— ამხ. ხელმძღვანელო, მე მინდა ერთი რამ
გიოხრათ: ძალიან საინტერესოა იმ გლეხთან სა-
უბარი, ის ჩენებ ბევრ საინტერესო ამბავს მო-
გვიყვება ბატონყმობის დროიდან. მოღით, ვე-
წვიოთ ერთხელ მას და ვსთხოვთ გვიამბოს
თავისი წარსული!

— ძალიან კარგი იქნება!

— ახლავე ვეწვიოთ! — გაისმა ალტაცებუ-
ლი ბავშვების ხმები.

— ამხანაგებო! თინას წინადადება მართლაც
რომ კარგია. მე დღესვე ვნახავ იმ მოხუცს და
ვსთხოვ ამის შესახებ. ვეტყვი ზეგ მოვიდეს ბა-
ნაკში და საღამოს კოცონთან მოგვიყვეს ბა-
ტონყმობისა და კერძოდ თავისი წარსულის
შესახებ.

ხელმძღვანელს სიტყვა არ დაასრულებინებს, გაისმა მქუჩარე. ტაში და წამოძახილები, „კარგია, მშვენიერია!“

— ახლა კი, რადგან ზეგ ჩვენ მოვისმენთ საინტერესო ამბებს იმ მოხუცისაგან, გავათაოთ ჩვენი საუბარი. უკვე სადილის დროც მოახლოვდა და ბანაკისაკენ გავემართოთ, — დაასრულა ხელმძღვანელმა.

**

კმაყოფილი და ოტაცებული პირნერები წამოიშალნენ, ერთხელ კიდევ გადახედეს პურით

დაფარულ კოლმეურნეთა მინდვრებს, რომელიც იდესლაც სუმბათაშვილის საკუთრებულ შეცადებების და სიმღერით დაეშვენ გრძელი დღის განვითარებას.

რაზმი პიონერული სიმღერით მიეშურებოდა ბანაკისაკენ, სადაც მათ ნოყიერი საღილი ელოდებოდა.

ბანაკობა დასრულდა.

ჯანღონით სავსე პიონერები სახე აწითლებულნი დაბრუნდენ შინ, რამდენიმე დღის შემდეგ კი სკოლას ესტუმრენ და განახლებულ მაცადინობას ახალი ენერგიით შეუდგენ.

გ. მანჯგალაძე.

როგორ გახდა ავად პიონერი შავა.

შეკრებაზე არ მოვიდა
პიონერი, გოგო შავა.
ამხანაგები შეწუხდენ:
— ხომ არ გახდა უცებ ავად?
— ვაჲ თუ ავტო დაეჯახა?
— ან ტრამვაიმ დააშავა?
გადაწყვიტეს: შეკრებილან
წასულიყვნენ სანახავად.
შავა იწვა სკამლოგინზე,
გვერდით ჰყავდა დედოფალა.
— შავა, ცუდად ხომ არ გახდი?
— სულ არა მაქვს ჯანი, ძალა!
— რა გაწუხებს?
— რა? რა ვიცი...
აქაც მტკივა... აქაც... აქაც...
ფეხის გულზე გამომაჩნდა
სახიფათო რალაც ლაქა.
— სიცხე თუ გაქვს?
— ოჲ, როგორი!
ისეთი, რომ ვიწვი სულა-
— მერე, არა გიწამლეს რა?
— ან ექიმი არ მოსულა?
— როგორ არა, იმან მითხრა,
რომ ფილტვები არ მაქვს კარგად,
რომ მუხლებში ქარები მაქვს

და რომ გულიც არ მივარგა.
— ტანჩაცმული რათა წევხარ?
— ტანთჩაცმული? ისე... ალბათ...
რადგან ძალზე შემცივნოდა,
გადავიცი ტანზე კაბა...
— მერ, ვითომ აბრეშუმი
გათბობს საბნის უკეთესად?
...რა პასუხი ვერ მონახა,
ჩვენმა შავამ მორთო კვნესა...
აქ წამოდგა ხელმძღვანელი
და წარმოთქვა სინანულით:
— ოჲ, რა ცუდ დროს გახდი ავად,
გეფიცები, მწყდება გული!
რაღა ახლა შეიქნი
ასე ცუდათ, ასე სუსტად? —
ჩვენ კინოში მივდიოდით
და წაყვანა შენი გვსურდა“.
— კინოშიო? — აქ კი შავა
ზე აიჭრა ქარსავითა:
— დედა, ქუდი, გენაცვალე,
ჩემი ქუდი სად წავიდა!
ახლა ხედავთ, ზოგ პიონერს
როგორ ესმის დისციპლინა:
შეკრების დროს ავად გამზღარს.
გამრთელებს უცებ კინო!

მარიკა მიქელაძე.

ტ ფ ი ლ ი ს ი

როგორ დაცხა ამ ტფილისში!
მიწა იწვის, ასდის ბოლი...
ორთქლმავალიც მოშიშინობს,
მოუვლია გზები შორი.
ქარხნის ბოლი შავ სვეტივით
ასრიალდა მაღლა ცაში,

ალტაცება გამოითქმის
მკლავმაგარი მუშის ხმაში.
ეს ტფილის ძლიერ მიყვარს,
გაიტაცა შორით ოვალი...
მიყვარს მუშა, ვეტრფი ყველას,
მიხარია მომავალი!

დ. ბერიკაშვილი.



I

შუა ტფილისში ერთი მთავარი ქუჩის ნაპირზე მრავალსართულიანი შენობა დგას. ამ შენობაში სკოლა არის მოთავსებული. მრს თრივე მხრით მრავალი მაღალი სახლია ჩამწკრივებული, მაგრამ ყველაზე უწინ ის სკოლა იქცევს ყურადღებას.

იგი აგურის ლამაზი შენობაა.

მის მაღალ კედლებს დილიდან საღამომდის მზის სხივები წითლად აელვარებს.

იმ სკოლაში რამდენიმე ასეული მოწაფე გროვდება ყოველ დილით. მას ვეებერთელა ეზო აქვს. ეზოში მუდამ ბავშვების სიცელქით სავსე ხმა ისმის. ირგვლივ მაღალი სახლებია სივრცეში ამართული და თითქოს ზედა სართულები ძირისკენ იცქცირება.

ყოველ დილით ბავშვების მოუსვენარი ყიუინა შეიჭრება ხოლმე იმ მაღალ სახლთა სართულებში, სკოლის ეზოს ირგვლივ რომ ბუბბერაზ დარაჯებივით დგანან.

იქაური მცხოვრებლები ბავშვების სიცელქით გამოშვეულ ხმაურს სიხარულით ხვდებიან, რადგან ყოველი ოჯახიდან ორი თუ არა, ერთი ბავშვი მაინც იქნება მოწაფედ იმ სკოლაში.


დედაკაცები დილაობით ფანჯრებიდან გადმოყენ თავებს და დიდ კმაყოფილებას გრძნობენ, როცა თავიანთ შვილებს უცქერიან.

ტფილისში თითქმის ყოველთვის მშვენიერი მზიანი დილა თენდება...

ერთი ჩვეულებრივი მშვენიერი დილაც გათენდა.

ახლადამოსული მზის სხივები ზედა სართულების ღია ფანჯრებში შეჭრილიყო და ჯერ კიდევ გაუსწორებელ ლოგინებს ნაზად ეფრქვეოდა. ამ ღრმის მესამე სართულში მკერვალიძის ბინიდან ფანჯარას გადმოჰყრდნობოდა ფერხორცით საკმაოდ სავსე დედაკაცი.

ეს ქალი/ორი შვილის დედაა, უმცროსი პატარაა, ჯერ სკოლაში არ დაიარება და ისევ



ლოგინშია, უფროსი კი სკოლის ეზოში არის
და სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობს.

დედა თავის ონავარ ყმაშვილს ზემოდან
უცქეროდა და თანაც მეზობელ ქალთან გაე-
მართა საუბარი:

— შეხე, შეხე ჩემ ჭიკოს, როგორ დანავარ-
ღობს! — დედა ალტაცებული უცქეროდა შვილს
და კისერს უცნაურად იგრძელებდა ფანჯრი-
დან.

— ჭიკო ცელქი ბიჭია, მაგრამ თავისი ცელ-
ქბით კიდევ უფრო გაყვარებს თავს, — უპა-
სუხა მეზობელმა დედაკაცმა.

— აი მაგას კი ენაცვალოს დედა!

„აქეთ... აი... აი, აქეთ!“

ყვიროდა ჭიკო.

ის ხელებს მაღლა წევდა, სივრცეში ასახსა-
ვებდა, ბურთს თვალს არ აშორებდა, რომ ყვე-
ლასთვის მოესწრო და ხელი წაეტანებია.

ისინი თამაშში იყვნენ გართული.

მაშინ შუა გაზაფხული იყო.

ზაფხულის ცხელ დღეებამდის რამდენიმე
თვე იყო დარჩენილი...

ჭიკოს სკოლაში მოწაფეთა მშობლების თათ-
ბირი მოიწვიეს. თათბირზე პიონერების ბანა-
კად გაგზავნის შესახებ იდგა საკითხი.

მშობლებში დიდი სიხარული გამოიწვია ამ
ამბავმა. თათბირს ჭიკო მკერვალიძის დედაც
ესწრებოდა.

ჭიკო ავადმყოფი კი არაა, მაგრამ დასვენება
მაინც მოუხდება...

იმ დროს, როცა ტფილისის ქუჩებში, დიდი
და სწრაფი მოძრაობის გამო, კორიანტელი
დგება და ქალაქის თავს ბული ღრუბელივით
ევლება, ქვიშეთს ბორჯომის ხეობიდან მტკვა-
რი მოუთამშებს, რომელსაც გრილი სო უხ-
ვად მოაქვს.

ამიტომ მოწაფეები მოუთმენლად ელიან სა-
სწავლო წლის დასასრულს.

მათ ქვიშეთში წასვლა უხარით...

II

აგვისტოა...

ჭიკოს სასწავლებლის ეზოში სრული სიწყნა-
რეა, მის ნაპირებზე ბალახები წამოიზარდა.

დაღუმებულ ვეებერთელა შენობის სიცა-
ლიერები მხოლოდ დარაჯის ფეხის ხმა ისმო-
და. კუზმას ეხამუშებოდა, რომ ყოველ ზაფ-
ხულში იგი თითქოს ისე მძიმდებოდა, რომ ია-
ტაქსაც კი უჭირდა მისი ზიდვა. კუზმას შეუ-
მჩნევლად უნდოდა სკოლის დერეფანში გავ-

ლა, ფეხებს შეშინებულივით ქურდულად აღ-
გამდა, მაგრამ იატაკი მაინც ნერვების ამშეფელ-
ლად ჭრიალებდა.

ზაფხულის ჭრიალა დილაა.

სკოლას რამდენიმე მუშა ესტუმრა.

მათ ლურჯი წინსაფარები ჰქონდათ.

ისინი უვლიდენ გარშემო ამ დიდ და ლამაზ
შენობას, ხანდახან შეჩერდებოდენ და გედელს
მეტი ყურადღებით უცქეროდენ.

— მკვიდრად აგებული შენობაა, მაგრამ...

— არის და კიდევ დიდხანს იქნება, — ჩაუ-
ლაპარაკეს მუშებმა ერთმანეთს და მერე სხვა
ადგილისკენ წავიდენ.

მუშებმა სკოლა გულდასმით დაათვალიერეს,
მერე ქუჩაში გამოვიდენ და გრძელტარიან ჩა-
ქუჩებს ხელში ატრიალებდენ ისინი ტრამვაის,
ავტომობილებისა და მოტოციკლების ხმა-
ურში ფიქრებით დამძიმებულნი მიღიოდენ და
თავისთვის ცალცალკე რაღაცას ანგარიშობ-
დენ.

— არა უშავს, ავილოთ...

— მა რა უნდა ვწნათ. ჩვენი ხელობა უგ
არის, უნდა ავილოთ, — ასე დაეთანხმენ ისი-
ნი ერთმანეთს, როცა სკოლიდან კარგა შორი
მანძილი გაიარეს.

რამდენიმე დღე რომ გავიდა, ჭიკოს სასწავ-
ლებლის ფართო დერფანში კიბეებისაგან გაკე-
თებული ხარაჲები იყო გამართული...

ხარაჲებზე იდგენ მუშები, ხელში დიდი
ფუნჯები ეჭირათ. ისინი ლებავდენ კედლებს,
ლებავდენ ჭერს, ასე მოჰყვებოდენ ერთი ნაპი-
რიდან, და უკან მაღალი კრიალა კედლები სარ-
კესავით რჩებოდა.

ერთმა მუშამ გულისტკივილით დაიწყო სა-
უბარი:

— მოწაფეები რომ მოუსვენარი და ცელ-
ქები არ იყონ, მაშინ განა ამ კედლებს შეთეთ-
რება დასჭირდებოდა? ეს მშვენიერი კედლები
ძალად არის გაფუჭებული.

— ეკ, ჩემო სიკო, შენც ამბობ, რაღა, ახალ
ამბავს. ისინი ამ ცელქობაში იძენენ ცოდნას და
იმავე ცელქობით ამზადებენ ჩვენს ლუკმას,—
უდარდელად უპასუხა მეორე მუშამ.

— იცი, რა გითხრა, შენ დარდიმანდი კაცი
ხარ და დარდიმანდობას საჭეზე ლაპარაკეს
დროსაც არ იშლო. ჩვენ ლუკმად ისიც საკმარა,
რომელი შენობების კედლებიც დრომ გაბზარა
და სიძაბუნე მოხცე კაცივით შეპარვია, —
სიკომ კიდევ თავისი გულწრფელობა გამოამ-
ჟლავნა.



სიკოს ბოლოს ის დარღიმანდი მუშაც დაეთანხმა.

კედლები რომ გაშრა, მერე იატაკს გამოჰყვენ მღებავები, იატაკის ღებვა დაიწყეს, და ისიც წითლად აკრიალდა, როცა გაშრა, ადამიანის სახეს სარკესავით იჭერდა...

სკოლაში ყველაფერი გაახლეს.

მერხები ისევ თავიანთ ადგილზე ჩაამწკრივეს.

ენკენისთვე მოახლოვდა, და სკოლაც მოწაფების მოლოდინშია.

III.

ჭიკომ ზაფხული ჭვიშხეთში გაატარა.

მან ჭვიშხეთში ბევრი ისეთი რამ ნახა, რაც ტფილისში არასოდეს არ ენახა. იქ სუფთა ჰაერი იყო, და მისი სხეული თამაშით და ვარჯიშით უფრო ჯანიერად ვითარდებოდა, ვიდრე ტფილისში. ჭიკოს სახის ყოველი კუნთი სიხარულის გამომხატველი იყო. მისი სახე უსიტუყოდაც კი მეტყველებდა დიდ კმაყოფილებას.

ჭიკო მკერვალიძემ ბანაკში რამდენიმე კვირა დაჰყო.

ის ბანაკის წესების საუკეთესო დამცველად ითვლებოდა, თუმცა თავისი ცელქობა და დაუდგრომელობა მაინც არ მოიშალა.

ჭვიშხეთში მათი საბანაკო თეთრი კარვები რომ გაიმართა, ბავშვებს, და მათ შორის ჭიკოსაც, არ ეგონათ, თუ იქ ყოფნით გაძლებოდენ.

მაგრამ კვირეები რომ გავიდა და კვირეებს თვეც მიჰყვა, მაშინ ჭიკომ ყველაზე უწინ დაიძახა:

— ბიჭებო, იცით, რა უნდა ვთქვა? უჰ, როგორ მინდა სკოლაში დაბრუნება... აჸა, კიდევ რამდენიმე დღე დარჩა, მათი თითებზეც ჩამოთვლა კი შეიძლება...

— ჭიკო, რად მოგწყინდა ასე ჩქარა?

ის დაფიქრდა.

ბოლოს ორჭოთულად წამოიძახა:

— არა... აარ... ჰო, მომწყიდნა. ახლა სწავლა მინდა. იი. სკოლაში ყველანი რომელიც გროვდებით... ყველანი ვინც კი შარშენ უკეთესობა ვით ერთად. იქ ჩვენ პირველად ხელის ჩამორთმევით მივეგებებით ერთმანეთს, მერე... მერე ამბებს მოვყვებით.

— ჭიკო, ნუ გვატყუებ, შენ არ მოგწყენია.

— არა, არა, ძმაო, მომწყინდა, ნუ ჩამციებიხართ.

ბანაკობა დასრულდა.

ბავშვებს მშობლებისკენ მიუხარიათ. მშობლები კი ბანაკობის უკანასკნელ დღეებს თითებზე ჩქარ-ჩქარა ითვლიდენ. მათ იცოდენ, რომ ბანაკში ბავშვებს კარგად უფლიდენ, მაგრამ მშობლიური სიყვარული ამოძრავებდათ.

ჭიკო ბანაკობიდან გასუქებული დაბრუნდა.


პიონერები ქვიშხეთიდან ტფილისამდის განუწყვეტელი სიმღერით მოდიოდენ, მთელი საზაფხულო ვაგონი ეკავათ და უკრავდენ სხვადასხვა საკრავზე. მიმზიდველი იყო მათი მუსიკა და სიმღერა. მატარებელი როგორც კი საღვურებთან გახერდებოდა, მგზავრები მაშინვე ჩამოხტებოდენ და პიონერებით სავსე ვაგონთან მოგროვდებოდენ. ისინი უცქეროდენ მათ ყიუინად გადაქცეულ სიმღერას, მუსიკას და აღარც კი უნდოდათ მატარებლის წასვლა. მაგრამ ორთქლმავალმა თავისი დროზე იცის ხოლმე შეკივლება, თითქოს იმასაც ტფილისისკენ მიუხარია.

ჭიკომ ცოტახანს დაჰყო შინ.

სექტემბრის რამდენიმე დღე გავიდა.

სკოლის ეზოში მოწაფეები ირევიან.

მათ მაისის ბოლოს, როცა სწავლა მთავრდებოდა, მკრთალი სახეები ჰქონდათ, ახლა კი თურაშაული ვაშლივით ასწიოთლებიათ ლოყები.





დასუქებულან, ჩაბუტკუნებულნი არიან. სკოლის ეზო ისევ ძველებურად აივსო მოწაფეებით, ჯერ მათი ხმადაბალი ლაპარაკის გამო ზუზუნი ისმოდა, შემდეგ ზუზუნი ისევ ძველებურ ყიუინად გადაიჭცა. — ჭიკო, როგორ გასუქებულხარ. როგორ გაწილებულხარ, სად იყავი ამ ზაფხულში? — ქვიშხეთში... — ქვიშხეთში კარგია? — უჰ, ძალიან მომეწონა. ქვიშხეთის იქით მაღალი მთები იშეუბა. მთები ღრუბლებივით გრუზა ტყეებით არის დაფარული. იმ მთებიდან მოულოდნელად იბადება მტკვარი... მტკვარი ტფილის რომ ორ ნაწილად ყოფს, თურმე, აუუ, შორიდან, არსიანის მთებიდან

მოდის და მერე უცებ გაწვება დინჯად, ქვაშ-ხეთიდან რომ თვალუშვლენი ქართლის კულტურული იწყება... უჰ, რომელი ერთი გითხრაონ! მტკვარის კიდევ ტივების ქარავანი მოაქვს ტფილისისკენ. ტივებზე სხედან გლეხები, თუ ცუდი ამინდი იქნება, მაშინ იქ ცეცხლსაც ანთებენ და ასე მოქრიან ტფილისისკენ.

ჭიკო გატაცებით ლაპარაკობდა, და ამხანა-გებიც ინტერესით უსმენდენ.

მოწაფეებს კიდევ არ ჰქონდათ თავიანთი ამ-ბები ერთმანეთისთვის გაზიარებული, რომ სკო-ლის კარები გააღს.

ლია კარებს მოწაფეები აზვირთებულ ტალ-ლებივით მიესიენ. ისინი შეიჭრენ სკოლაში და ეუცხოვათ გაკრიალებული კედლები, ჭერი და იატაკი.

ყველანი თავთავიანთ კლასებს ეძებენ. ჭიკოც მიჰყება ოთახებს და თანაც იძახის:

— პირველი კლასი, მეორე კლასი, მესამე კლასი... აი, მივაგენი უკვე, აი ჩემი კლასი.

— მე მეგონა, მარტო ჩვენ ვიყავით გაჯან-საღებული, მაგრამ ჩვენი სკოლაც გაუახალ-გაზრდევებიათ, — ამბობდა ერთი მოზრდილი პიონერი სიცილით.

სკოლის დირექტორს მოხდენილი სათვალ-თვალო პუნქტი ამოქრჩია და მისი გამჭრიახი თვალები მთელ დერეფანს სწვდებოდა.

ლაგრ. ჭიკინაძე.

გვირი გავშვილი (*).

V

გამშედაობაც ასეთი უნდა, როგორიც პავლეს ჰქონია გული; იგი მიზნისთვის სიკვდილს უცეკრდა, მისი სიცოცხლე იყო დახშული. ის ვერ მოდრიკა ბაბუას რისხვამ, ამბავი სოფლის საბჭოს აცნობა, ასე მოაწყო მოხუცის მიერ კულაკანვის ცენის დათმობა. კულაკანვმა დამალა პური, მტერი შტარკუვი იარაღს მარხდა, გაიგო პავლემ, სოფლის წურბელებს თემსაბჭოს ხალხი თავზე დაადგა. შურით აინთო კულაკანვი, თვით უსულგულო ბაბუაც წუხდა, დანილა პავლიკს მგლურად უცეკრდა და ღვთის მორწმუნე ბებიაც დუმდა.

*) დასჭ. იხ. უზრ. „პიონერი“ № 7—8.

არვინ გაბედოს პურის შენახვა და სახელმწიფოს ცხენის დამალვა, პავლეს თვალები მისწვდება ქურდს და ხვალვე ამბავი საბჭოში წავა. ზოგს ის არ უყვარს, ბევრის გულში კი იგი მრავალჯერ სიხარულს გაშლის. მინდვრად გლეხები ლაპარაკობენ: „არ გართ მნახველი ასეთი ბავშვის“. ბევრს სიყვარული დაუმსახურა, თითო-ოროლა მგლის თვალით უცეკრს მოიცლის პავლე, თუ კი დასცალდა, მათაც გაარტყამს სახეში ქუსლებს.

VI

როცა სალამოს სიბნელე მოდის და მყუდროება გაწვება სოფლად, კულაკანვის და დანიელას წვეულება აქვს ბაბუას ქოხმახს. გარეთ ლამეა შავი, უმოვარო,



ბნელი, მშრომელთა შტერის გულივით;
ქობში მსჯელობა დიღხანს გრძელდება,
შემდეგ გაშვება ისევ დუმილი.
„ხვალვე გავლესავთ, დანილა, დანას“ —
ხმახახლეჩილად თქვა ბერმა დათვმა.
ასე დასრულდა იმ ღამის კრება,
და დროს უცდიან მხეცები ახლა.

VII

იდგა ზაფხული. სოფელში ბიჭებს
მღინარის პირას ჰქონდა ყიქინა,
პავლეს ანკესი არ უვაროდა,
მოღლილ პატარას ჩრდილში ეძინა.
მოვიდა ვიღაც მძინარე ბავშვთან,
დაადო პირზე სველი ტალახი,
გამოიღვიძა, იქ არვინ იყო
იმისი ტოლი და - ამხანავი.
დანილა იდგა და ხარხარებდა.
„მხეცი“ — მოისმა პავლიკის ხმები,
მივარდა, მძლავრად სტაცა ხელი და
მღინარსაკენ მიქონდა მხრებით.
გამწარდა ბავშვი, უბინა ხელზე,
„მიშველეთ, მახრიბს!“ — ყვიროდა იგი,
დარჩა პავლიკი სახელდახელოდ,
მინდვრად გამვლელი სოფლელი ზიქი.
ცრემლი შეაშრა პატარას თვალებს,
მტერს საპასუხო ესროლა სიტყვა:
— მე პიონერი მაინც დავრჩები,
მამის წინაშეც მრავალჯერ მითქვამს.

VIII

გული იბრუნა ნატაშამ შვილზე,
თუმც ახლაც ეტყვის ხშირად საყვედურს:
„შვილო, დაგვლუპე მთელი ოჯახი,
ეს რა მოესწორ ტრიფიმ უბედურს“.
დღემდის კი ასე ამბობდა დედა:
— მან დამანგრია ოჯახის ჭერი;
იგი არასტროს არ ყოფილა და
აღარც იქნება ჩემი დამჯერი.
მაინც დედა ფარ, როგორ დავტოვო
საკუთრივ ჩემი აღზრდილი შვილი.
წავა ბავშვი და დაიკარგება,
დამელუპება, მათხოვრად ივლის“.
ღამე, როდესაც მინდვრიდან მოვა,
მივა, ნახავს და გულს მოიჯერებს;
შემდეგ ოჯახის საქმეს ხელს ჰკიდებს
თივას დაუყრის ბასელში ცხენებს.
ამ საღმოს კი როდესაც პავლე
სახლში დაბრუნდა თვალცრუმლიანად,
პატარა ფედო უძახდა დედას,
დედამ კი ისევ დაიგვიანა.

ქოხი დაღუმდა. იყო სიმშვიდე,
მოღლილ პატარებს ტკბილად ეძინათ უკავშირთვის
პავლეს სიზმარში ესახებოდა
ხვალინდელი დღე და უფრო დილა.
რიყრაუის შემდეგ იგი ტყეშია
და მასთან არის პატარა ფედკა,
ცივი სიო ქრის, ტყე შიშველია,
მას ღრუბლიანი დაყურებს ზეცა.
შემოღომის დროს მოუტანია
ტყეში ტყის ხილი, რამდენიც გინდა,
არღვევს სიჩუმეს, ხიდან ხის ტოტზე
ზამთოის ფრინველი თუ გადაფრინდა.

— ი დილაც გათენდა,
გაქრა ტკბილი სიზმარი,
ხილისათვის ტფისაკენ იჩქარიან ბავშვები: —
„დედა, არ შეგეშინდეს, აღრე დაგიბრუნდებით,
ტყეში მზის ჩასვლის შემდეგ
ჩვერ აღარც კი დავრჩებით“.
— გენაცვალოთ დედაი, ჩემო ბიჭუნებო,
მოღით, გულში ჩაგიკრათ
მშობელ დედის ალერსით,
მზის ჩასვლამდის დაბრუნდით,
თორემ გზას ვერ გაირკვევთ,
ხიფათს გადაეყრებით ამ უმთვარო ღამეში.
— დაარიგე, აკოცე, შემდეგ გულშიც ჩაიკარ.
ეხ! ვინ იცის, ეგება აწი ველარ იხელო
და სიკვდილის წუთებში შენ გახსენოს დედიკო,
შენ კი ახლოს არ იყო და ველარ დაიტირო.
ვერ იტირო პატარა
კომუნარი დედიკომ,
ვერ იხილო, გაშორდეს
მას მცინარე სიცოცხლე.
საღლაც სისხლი დაღვაროს
საყვარელმა ბიჭიკომ.

გაცოცხლებულა ტყე და ხეობა,
პავლეს ტყის ხილი დაუკრეფია;
ფედკას შეუკრავს შოლტები ბლომად,
ისევ სოფლისკენ მიეჩარებათ;
მათი ხმაური აღვიძებს შარას,
ფედოს შორს ველი გაურბენია.
ამ დროს გზად ორმა ჩამოუარათ.
შემდეგ მობრუნდა შავნაბლიანი
და ბავშვებს მისდევს იგი კვალდაკვალ.
წამოწია მოხუცი კაცი,
უთხრა: „გაბედე, შორს ნულარ წახვალ“
აჩქარდა კაცი შავნაბლიანი
და დადგა ჩრდილად პავლიკის თვალწინ.
მობრუნდა ბავშვი, იყვირა „მმაო“.

მახვილი ჩასცეს მუცელში ბასრი.
 და მაინც ისე ყვიროდა იგი
 — ძამიკო, ჩქარა გაექეც მხეცებს,
 ფედია, ჩქარა! ორბინე, ბიჭო!
 შიშველი დანით ბაბუა გექებს!“
 შემდეგ ძახილი უეცრად მიწყდა,
 იცნო დანილა პირსისხლიანი.
 იბრძოდა ხელით უიარალო,
 გაღმოსდიოდა სისხლი თქრიალით.
 მოჰკიდა ხელი სისხლიან დანას,
 მუშტი ჩაარტყა ჯალათს სახეში,
 მტრერმა იხმარა ისევ მახვილი
 და მიაყენა ჭრილობა ხელში.
 დაეცა პირქვე უხმოდ პატარა,
 სისხლმა და ცრემლმა გაჟონა მიწა.
 „მშვიდობით, დედა, რაზმო და სკოლავ!“
 ამის თქმის შემდეგ სულისთქმაც მიწყდა.
 მოვიდა მკვლელი და ბავშვის გვამზე
 დათვის ფეხები დაადგა მძღავრად,
 მოშორებით კი ყვიროდა ვიღაც:
 „დანილა, აქეთ წამოდი ჩქარა!“
 თითქოს ის ხები შვებას აძლევდა,
 ცივი ღიმილით გაიქცა ტყისკენ...
 ტიროდა ბავშვი, ეჭირა მოხუცს
 და უთხრა სწრაფად: „ეს ლეკვიც იხსენ“.
 „უხ“ — გაისმა, და პატარას ტანის
 მკერდი შელება მჩქეფარე სისხლმა,
 შემდეგ მახვილმა კიდევ იელვა,
 თმაქერა ბიჭი დაეცა მიწას.

— საღა ხარ, ჩემო დედიკო,
 ანდა ძამიკო პავლე,
 რომ დამიტირო ფედიკო,
 სისხლი მოსწვენდო თვალებს.
 შენც მოგვლა მხეცმა ბაბუამ,
 გაუხარია დანილას,
 აქ ხომ დედიკო არ მოვა,
 ვირ დაგვიტირებს ხვალ დილას.

IX

მიწყდა სულისთქმა პატარა ფედოს,
 ცივი სხეული დაცურავს სისხლში,
 მოშორებით კი პავლიკა ეგდო
 მკერდგადალრული, ბუჩქნარის ძირში.
 ეგმბორება სიო კომუნარს,
 სისხლით შელებილ ქერა თმას უშლის
 და მის სახეზე ამოიკითხავ,
 რაც სიკვდილის დროს გმირს ჩაჰყა გულში.
 მტერს ეშინა ცივი სახისაც,
 გადააფარეს პავლეს ტომარი,
 გამოუცვალეს ცივ გვამებს მრწაც,
 წაიღეს, სადაც პრის ბუჩქნარი.
 დედის ტირილმა შეძრა სოფელი,
 და მიაშურა ბაბუას ბინას,
 ქონიდან მოდის მოხუცი ქალი:
 „აქ არ არიან, ღამე არ სძინავთ...
 იქით ნუ წაახვალთ“... — იბნევა იგი.
 „წალისკენ, ხალხო, ჭალისკენ იქნებ“
 გამხმარი ხელი კანკალებს ისე,
 რომ ტყუილისთვის ძალას ვერ იკრებს.

(დასასრული იქნება).

8. ებრალიძე.

პ უ შ ე*)

5.

თინამ სახელი მთელს სოფელში გაითქვა.
 ყველა მის ქება-დიდებაში იყო, ყველგან მას
 ახსენებდენ, ყველას მის მიერ მორჩენილი ემი-
 ნეს გარდაქმნა ეკერა ენაზე. თინაზე არანაკლებ
 იხსენიებდებ ჭკვანისა და კეთილ აიშესაც. აი-
 შე მართლაც ღირსი იყო ქებისა და პატივის-
 ცემის. ის მუდამ ცდილობდა დახმარება გაეწია
 თავისი ამხანგებისათვის. გაიგებდა თუ არა
 ვისმეს ავადმყოფობას, დედასთან გამოიქცეო-
 და, წაიყვანდა და ავადმყოფს ანახებდა. თინა
 ყველას დარიგებას აძლევდა და თუ ავადმყო-
 ფობა ისეთი იყო, რომ საჭირო იყო ექიმის გა-
 მოძახება, ამასაც თვითონ კისრულობდა.

რამდენადაც ძლიერ სძულდა ემინეს წინათ
 თინა და აიშე, ახლა იმდენად ძლიერად შეუ-

ყდარდა ისინი. თუ წინათ ნაილეს უშლიდა აი-
 შესთან სიარულს და ამხანაგობას, ახლა თვი-
 თონ მუდამ თინასთან იყო, ან თავის სახლში
 მოყავდა და საუკეთესოდ უშესაპინძლდებოდა.
 მართალია, ემინე, როგორც სხვა ქალები, მა-
 მაკაცებს არ ეჩვენებოდა, გარდა თავისი ნათე-
 სავებისა, მაგრამ მან თავის ოჯახში ჯემალიც
 მიიღო და, როგორც ძმასთან, პარზე მოიხადა.

ემინეს გარდაქმნამ სავსებია გამოაცალა ნია-
 დაგი ექიმბაშებია და მკითხავებს. რომლებიც
 ემინეს მუდამ კარგ ძალად თვლიდენ ხალხის
 მოტყუების საქმეში. ისინი შეეცაზნებ მის გა-
 მობირებას, მაგრამ ამ დროს ემინე უკვე სულ
 სხვა წარმოდგენის აღმოჩნდა.

— დამეკარგეთ აქეზან! ამდენ ხანს რომ
 მატყუეთ, ისიც გეყოფათ. მეორეხელ არ დაგი-
 ნახოთ ჩემთან მოსული, თორემ მთავრობასთან

დაგასმენთ და, როგორც მატყუარებს, აქედან გაღვავასახლებინებთ: ეუბნებოდა ემინე, მათ და კინწის კვრით აგდებდა. გაჯავრებული მკითხავები მუქარით გაეცლებოდენ და აშინებდენ საშინელი უბედურობით, რომელსაც ვითომ ალაპი (ლმერთი) მოუვლენდა გაგიაურებულ (ურწმუნო) ემინეს.



როგორც ჯემალი, ისე თინაც არ ანელებდა მუშაობას სოფლის კულტურულად აღორძინების საქმეში. ჯემალის დახმარებით თინამ თემში არსებული კომუჯრედი საცხებით გადაჭმნა. ნაცადი ბოლშევიკის მეთაურობით უჯრედმა გაცილებით უკეთ დააყენა საქმე სხვა თემებთან შედარებით. იწვევდა სისტემატიურად ლია კრებები ღარიბ და საშუალო გლეხებთან ერთად, მუშავდებოდა სხვადასხვა საჭირობოებით საკითხები, ეწყობოდა თაობირები და ამით გლეხობაში შედიოდა კომუნისტური შეენება და განვითარება. სამი-ოთხი თვის განმავლობაში ათონდე ღარიბი გლეხი დაამტკიცა უჯრედმა კომპარტიის კანდიდატად, ოცამდის ახალი განცხადებაც იყო შემოტანილი. ქალებმაც იწყეს სიაჩული უჯრედის კრებებზე და მორცვად, მაგრამ მაინც ღებულობდენ მონაწილეობას სტვადასხვა საკითხის გადაწყვეტაში. კომკავშირის უჯრედი იმდენად გაძლიერდა თემში, რომ ამ სოფლის კომკავშირების საკუთრი უჯრედის ჩამოყალიბების ნებაც მისცეს, და მართლაც სანიმუშო უჯრედი ჩამოყალიბდა. კომუჯრედისა და კომკავშირის უჯრედის მუშაობა იმდენად გაძლიერდა და გაფართოვდა, რომ თოთოეული გლეხის თვალში ის თვალსაჩინო გახდა. წინათ თუ გლეხი თავისი გაჭირვების მონაწილედ არავის თვლიდა, თუ მას იმედი არსაიდან არ ჰქონდა, ახლა თავის გაჭირვებას თუ დალხინებას ის უჯრედის კრებაზე ამბობდა, თავის ამხანაგებს აცნობებდა და სათანადო დახმარებასაც ღებულობდა.

ამის მაგალითი ბევრი მოხდა სოფელში. ერთ-ერთ გლეხს, რომელსაც ცეცხლმა სახლგარებები ნადგურა, კომუჯრედისა და კომკავშირის მეთაურობით საერთო დახმარებით მაღე უკეოესი სახლი აუგეს. ასეთივე საერთო დახმარებით დამუშავდა ობლების მიწა და მოსავალი მიეცა მცირეშლოვან ბავშვებს, რომლებიც სხვა დროს სამათხოვროდ უნდა გადაცვენილიყვნენ. გლეხები. რომლებიც ამდენხანს თავის თავსაცვერ იცნობდენ, ქვეყანას გაეცვნენ, თავიანთი ინტერესები შეიგნეს, მტერ-მოყვარე გაარჩიეს, ავსა და კარგს მიხვდენ.

ამ დროს ჩვენში კოლმეურნეობის დაარსებაზე ჯერ ლაპარაკი არ იყო და მისი ფორმა და შინაარსი არავინ იცოდა, მაგრამ ერთხელ კომუჯრედის ლია კრებაზე, სადაც ჯემალი შოხსენებას აკეთებდა თამბაქოს თესვისა და გადარგვის შესახებ, მოხსენების შემდეგ ერთმა გლეხმა თქვა:

— ამხანაგებო! ჯემალის დარიგება მისალებია და სასარგებლო. ყველამ, რომ მისი დარიგების თანახმად მოვუაროთ თამბაქოს, ყველა ისე დაკვირვებულად რომ მოვექცეთ, როგორც ჯემალი ამბობდა, მაგას არაფერი არ აჯობებს, მაგრამ ჩვენ უშრავლელი ზალხი ვართ, ზოგი ვერ დავიმახსოვრებთ მაგის სიტყვებს, ზოგი ვერ გაიგებს და ზოგიც არ აასრულებს. მოდი ერთი ვენათ ჩვენ. ავარჩევინოთ ჯემალს სათუთუნე მიწა, მისი ხელმძღვანელობითა და მითითებით დავამუშაოთ ნიადაგი, დავთესოთ, გადაცრგათ, შევტეხოთ, დავამზადოთ და გავყიდოთ კიდევაც. არც ცალცალკე მუშაობა მოგვიწევს, არც დამზადება და არც ზურგით თრევა გასაყიდად.

გლეხის აზრი ბევრს არ მოეწონა.

— რას ამბობ, შენ გინდა მე ვიმუშაო და შენ წაიღო?! — დაიძახა ერთმა. იმას მეორე აჭყადა და ბოლოს ხუთიოდე მოწინააღმდეგე გა-



მოჩდა. კამათი გამშვავდა. პირველ გლეხს მომხრებიც ბლომად გამოუჩნდა და საკითხი საბოლოო პასუხისათვის ისევ ჯემალს დაუბრუნდა.

— შეერთებულ შრომას არაფერი სჯობია, ამხანაგებო, — დაიწყო ჯემალმა. — მუშათა კლასი სწორედ იმით იმარჯვებს, რომ შეერთებული ძალით იბრძეს. ჩვენ, გლეხებმაც, უნდა ვისწავლოთ მუშებისაგან. სულეიმანი ჩვენზე ჭკვიანი გამოდგა. მისი წინადაღება მისაღებია. როგორც მან თქვა, ერთად ნიადაგსაც კარგად დავამუშავებთ, უკეთ მოვუკლით. შენაცვითაც კარგად შევინახავთ და გაყიდვის ორგანიზაციასაც უფრო მოვაწყობთ. ჩემი აზრით, სულეიმანის წინადაღება მისაღებია, — დაამთავრა სიტყვა ჯემალმა.

სულეიმანის მომხრებმა ტაში დაკრეს. მოწინააღმდეგებმა ჩიჩქლი დაიწყეს. ამრიგად ამ დღეს გადაწყდა თაბაქოს ერთად დათესვისა და მოვლის საქმე. მეორე დღიდან შეუდგენ მუშაობას. ის პირები, რომლებიც კრებაზე წინააღმდეგი იყვნენ ასეთი მუშაობის, ერთხანს განზე იდგენ, მაგრამ გაიგონეს თუ არა ერთად მომუშავე მეზობლების აჭარული სიმღერა, ველარ მოითმინეს და მათთან მივიღენ.

— რახან უმრავლესობას ასე სურს, ჩვენც თქვენთან ვართ, — თქვეს მათ და მომუშავებს შეუერთდენ.

ეს პირველი ლახვარი იყო, რომელიც მოხვდა ადგილობრივ ბობოლა ელემენტებს.

მართალია, სოფელი ბევრი რამით გამოიცვალა, ბევრი ახალი რამ შეისწავლა და შეიგნო, მაგრამ გოგონების სკოლაში გაგზავნა არ მოხერხდა. მოუხედავად იმისა, რომ პატარა გოგონები სიხარულით ისწრაფოდენ სკოლისაკენ, მშობლები მაინც უარზე იდგენ, ქალის სწავლა მაინც არ მიაჩნდა. საჭაროდ უმრავლესობას, ხოლო თუ ვინმე თითო ორ-ორა გამოჩნდებოდა ამის მომხრე, ისინც იმათ რიგებიდან, რომლებსაც გოგონები არ ჰყავდათ.

ერთ დღეს აიშე თავის ამხანაგებთან ერთად თამაშობდა. სათამაშოები წინა დღით ამოეტანა ჯემალს ბათომიდან და ამიტომ აიშეს დიდი შრომა სჭირდებოდა, რომ სათამაშოების გმოყენება ბავშვებისათვის იქნეს. სათამაშოები სხვადასხვაგვარ დაჭრილ ხის ნაჭრებიდან შედგებოდა. მათი სხვადასხვაგვარად შეერთებით სხვადასხვა მანქანებს, იარაღებს, მცენარეებს, ცხოველებს გამოხატავდენ. მეორე წეება ნაჭრებისა ასოების მსგავსად აეწყობოდა და

ასეთ აწყობილ ასოებისაგან სიტყვები გამოიყენებოდა ხოლმე. ვინაიდან ამ ასოების გათხვა გოგონებს არ შეეძლოთ, აიშეს უხდებოდა სათითაოდ ყველასათვის ამ ასოების გაცემის. გოგონები ხალისით მოეკიდენ ამ სათამაშების და ამავე დროს ანბანსაც სწავლობდენ. კარგა ხანს ითამაშეს ბავშვებმა ამ სათამაშოებით და მერე მეორენაირ სათამაშოზე გადავიდენ. ეს იყო დახატული ცხოველების, მცენარეების იარაღების, მანქანების და სხვა საგნების გამოცნობა და მისი დანიშნულების ახსნა.

— ეს ტრაქტორია, — ხსნიდა ერთი. — ამით მიწას ხნავენ.

— ეს ავტომობილია, ამით დადიან, — აპბობდა შეორე.

— რას მიყავს ორთქლმავალი? — იყითხა ერთმა გოგონამ მოულოდნელად და აიშეს შეხედა.

აიშე ჩაფიქრდა. მან იცოდა, რომ ორთქლმავალს მატარებელი მიყავდა, მაგრამ თვით ორთქლმავალი რას მიყავდა, ეს კი არ იცოდა.

— არ ვიცი, — მოკლედ უპასუხა ამხანაგებს, მაგრამ, თითქოს რაღაც მოაგონდათ, დაუმატა.

— წავიდეთ, მასწავლებელს. ვკითხოთ, აგვიხსნის. — და სკოლისაკენ გაიხედა, სადაც ამ დროს ბავშვები თამაშობდენ და მასწავლებელი წიგნით ხელში გარეთ ხის მორჩე ჩამოჯდარიყო.

— ძია, ვითხარი, რას მიყავს მატარებელი? — შეეკითხა აიშე მასწავლებელს, რომელსაც აიშე კარგად იცნობდა.

— ორთქლმავალის, — მოკლედ მიუგო კოტემ.

— ორთქლმავალი?

კოტემ მიხვდა, რის გაგება აინტერესებდა აიშეს, და აუხსნა:

— ორთქლმავლი ორთქლის საშუალებით მიდის, — ეუბნებოდა ის. — როდესაც ქვაბში მდგარ წყალს ცეცხლს შეუკეთებენ, წყალი იწყებს აორთქლებას და ბოლოს მივიღებთ ბევრ ორთქლს, რომელსაც შეუძლია დაძრას ადგილიდან ესა თუ ის საგანი. ამრიგად ორთქლის გამოყენება სხვადასხვა დარგშიაც ხდება ხოლმე. ჯერ თქვენ კარგად ვერ გაიგებთ მთელ შინაარს ორთქლის გამოყენებისას, მაგრამ როდესაც სასწავლებელში შეხვალთ, მაშინ არამც თუ გაიგებთ, რის გაერთება შეუძლია ორთქლს, არამედ გამოიყენებთ კიდევაც მას.

ბავშვები სულგანაბული უსმენდენ მასწავლებელს და ორდესაც კოტემ ლაპარაკი გაათავა, ერთმანეთს გადახედეს.

— გმადლობთ, ძია, — უთხრა აიშემ და წამოვიდა თავისი ამხანაგების თანხლებით. მასწავლებელმა ზარი დარჩეკა, და მოწაფები სკოლაში შეცვიდენ.

— რა კარგი კაცი ყოფილა, — ჩაილაპარაკა ერთმა გოგონამ, ორდესაც კარგა მოსცილდენ სკოლას.

— მაგისტანა კაცთან როგორ ვერ ვისწავლი, — დაუმატა მეორემ.

— გინდათ, შევიდეთ სკოლაში და დავიწყოთ სწავლა! — წამოიძახა, აიშემ.

გოგონები შეკრთხნ.

— როგორ იქნება! — წამოიძახა რამდენიმე ხმამ.

— ნენე რომ გამიგებს, ცემით მომკლავს, — თქვა ერთმა.

— ნუ გავაგებინებთ! — დაიძახა ნაილემ. — თვითონ აქ არ მოვლენ. ჩვენ მათ ნუ ვეტყვით, ვისომც სათამაშოდ დავდივართ და სკოლაში კი ვიაროთ.

ნაილეს აზრი ყველას მოეწონა.

— მერმე, ვინ ეტყვის მასწავლებელს? — იყითხა ერთმა.

— კატო მასწავლებელი დედაჩემის მეგობარია. სულ ჩვენსა დაიღის. კარგად ვიცნობ. წავიდეთ, მას ვუთხრათ და ის მიგვიღებს, — უთხრა ამხანაგებს აიშემ.

— ბიჭებთან არ დავჯდებით, ცელქობა იციან, — თქვა ერთმა.

— არა, გოგონები ერთად ვიქნებით, — დაამშკიდა ამხანაგი აიშემ.

ბავშვებს ჭკუაში დაიუჯდა აიშეს მოფიქრება და აიშესთან ერთად სკოლისაკენ წავიდენ, სადაც მასწავლებელი კატო უნდა ენახათ და მოლაპარაკებოდენ.

კატო ათი მოწაფისაგან შემდგარ ჯგუფს ამეცადინებდა და ორდესაც. აიშე სკოლის კარებზე მრადგა, შემობრუნდა და აიშეს გაულიმა.

— შემოდი სკოლაში, — უთხრა მან აიშეს. აიშემ ჯერ უკან მოიხედა, შემდეგ კატოსთან მივიდა.

— ჩემთან სხვებიც არიან. ყველას უნდა სკოლაში სიარული, შენთან თუ მიგვიყვანდა რამ ვაჟებთან არ დაჯდებიან. აუქსნა აიშემ მასწავლებელს.

კატო მეორე ოთახში გავიდა, სადაც კოტე ასწავლიდა ბავშვებს, შემდეგ ორივე გამოვიდა და ის ათი მოწაფე. რომლებიც კატოსთან სწავლობდენ. მეორე ოთახში გადაიყვანეს.

— შემოდით, — მიმართა კატომ გოგონებს.

გოგონები მორცხვად შემოვიდენ. კატომ ბავშვებს საჯდომები აჩვენა, სათითაოდ ყველას ადგილი მიუჩინა და სკოლის წესები აუხსნა. შემდეგ ბავშვების სახელი, მამის სახელი და გვარი ჩაიწერა.

— ხვალ დილით, მზე რომ ამოვა, სკოლაში უნდა მოხვიდეთ, — უთხრა მასწავლებელმა. — ხელ-პირი კარგად დაბანეთ, კბილები გამოირცხეთ, ტანზე სუფთად ჩაიცვით, როგორც დაგარიგეთ, ისე მოიქციოთ და ორდესაც აქ მოხვიდეთ, იმ ადგილას დაჯექით, სადაც ახლა ზიხართ.



მასწავლებელს ბავშვები თავის დაქნევით დაეთანხმენ, რვეულები, ფანქრები და პატარა წიგნები მიიღეს და წამოვიდენ. გზაში კიდევ მოილაპარაკეს ერთმანეთს შორის, რომ ყველა ფერი ეს საიდუმლოდ დარჩენილიყო. მიღებული ნივთები აიშეს მიაბარეს შესანახად მეორე დილამდის და თავთავიანთ სახლებში წავიდენ.

გოგონების ეს მოქმედება მარტო თინამ გაიგო, რომელსაც ძალიან გაეხარდა და აიშეს კარგ საჩუქარს შეკპირდა.

(დასასრული იქნება)

3. ლორი

პატარა საყვედლი

დღესაც ვწერ,
დღესაც ვკითხულობ,
მზრდის გარჯილობა წლებივით...
სირცევილი, რომ არ მაღირსე
ერთი პატარა წერილი.
მერე რა გრძნობით ველოდი
დღედადღე ეზოს კარებთან!
არ იქნებოდა დიდი რამ,
მაგრამ გულს გაახარებდა.
მაგრძნობინებდა ჩვენს ქალაქს...
კალამი შენ არ დაგლლიდა!
გიოვლი ამიტომ საყვედურს
ბაბუს პატარა სახლიდან.
ისე კარგად ვარ...
ამიკლო
მხოლოდ წვიმამ და ქრებმა.
ლელვი დამწიფდა, ყურძენც
ვაზებს ჰკიდია ქარვებად.
მანც ვწერ,
მანც ვკითხულობ,
მზრდის გარჯილობა წლებივით...

სირცევილი, რომ არ მაღირსე
ერთი პატარა წერილი.

დგას შემოდგომა, ეცვლება
ფერი ტყეს, ლელის ნაპირებს.
მალე მეც, სწავლის ხალისით
შენკენ წამოსვლას ვაპირებ.
მეყო, ზაფხულმა სოფელში
რაც მომასვენა, მატარა.

— სწავლა იწყება! — იძახის
ახლა დიდი და პატარა.

მეც მოვალ,
თვალი მიბრწყინავს
სოფლის დოვლათის მნახველი,
მოვალ და ჯილდოდ მექნება
შენთვის ზარმაცის სახელი.
მაშ რა გეგონა, ჯანი გაქვს,
კალამი ხომ არ დაგლლიდა!
გიოვლი ამიტომ საყვედურს
ბაბუს პატარა სახლიდან.

გიორგი კაჭახიძე.

ახალგაზრდობის XX საერთაშორისო ღლე



კარლ ლიბკნეხტი

1. სექტემბერს მთელ მსოფლიოში ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით ტარდება ახალგაზრდობის XX საერთაშორისო ღლე. ეს ღლე მთელი ქვეყნის მუშა-ახალგაზრდობის რევოლუციურ ძალათა დემონსტრაციის და საბრძოლო მობილიზაციის დღეა, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული.

დადგენილება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დაწესების შესახებ მიიღო ბერნის საერთაშორისო სოციალისტურმა კონფერენციამ მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, 1915 წელს.

მაშინ ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციები თუმცა არ იდგენ ბოლშევიზმის პოზიციებზე, მაგრამ მათი უმრავლესობა ომის საწინააღმდეგო პოზიციებზე დადგა.

ახალგაზრდობის სოციალისტურ იმპერიზაციათა უმეტესმა ნაწილმა კომუნისტური პროგრამა და სახელწოდება მიიღო აქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

მსოფლიო ომის პერიოდში ახალგაზრდობის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორი და უშუალო ხელმძღვანელი სახელმოვანი კარლ ლიბკნეხტი იყო. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებული სიძულევილით ებრძოდენ ამ უდიდეს პროლეტარულ რევოლუციონერს — კარლ ლიბკნეხტს.



ბორის ქელაპე

ახალგაზრდობის XX საერთაშორისო დღე ცეკვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩატარდება კაპიტალიზმისა. და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით. ამ დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშათა და მშრომელი ახალგაზრდობა, კომუნისტური კავშირების ხელმძღვანელობით, მოახდენს თავის ძალთა დემონსტრაციას ახალი იმპერიალისტური ომის მოახლოვებული საშიშროების წინააღმდეგ.

რევოლუციური ახალგაზრდობა მტკიცე გუშაგად დგას თავისი სოციალისტური საშშობლოს — საბჭოთა კავშირის — სადარაჯოზე. ის სასტიკად ილაშქრებს იმპერიალისტებისა და სოციალ-ფაშისტების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოწყობას.

გერმანელი ფაშისტები, როცა ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთვის იბრძოდენ, გერმანის მშრომელ ახალგაზრდობას უამრავ ხიცეთეს პირდებოდენ. დაპირებაში აღუთქვამდენ ისინი, რომ ახალგაზრდობის მდგომარეობას გააუ-

მჯობესებდენ, მოსპობდენ უმუშევრობას და სხვა.

მაგრამ წელიწადნახევარი გავიდა, და ფაშისტების დაპირება არ გამართლებულა. კომუნისტები ფაშისტების დაპირების სიყალბეს ოვიდანვე აღიარებდენ. მათი ბატონობის წელიწადნახევარში გერმანიის მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობას უკიდურესად | გაუარესდა.

ფაშისტებმა გამოსცეს კანონი, რომლის თანახმად ირივე სქესის ახალგაზრდობა 25 წლის ასაკამდის დათხოვნილ უნდა იქნას სამუშაოდან, ვინაიდან „დაზგასთან უნდა განთავისუფლდეს აღილი ცოლშვილიანი უმუშევრებისათვის“.

ფაშიზმი უმუშევარ ახალგაზრდობას არ ეხმარება, მათთვის შექმნილია შრომის ბეგარის ბანაკები. 500 ათასზე მეტი ახალგაზრდა პროლეტარი ამ იძულებითი შრომის ბანაკებშია შერეკილი.

ფაშისტები ძალდატანებით ატარებენ ახალგაზრდობის გასამხედროებას, მაგრამ ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო ამჭიდროებს თავის რიგებს ფაშიზმის წინააღმდეგ. კომკავშირი პროპაგანდას ეწევა მოიერიშეთა რაზმებ-შიც კი.

შემდეგ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრულ უდილესი მნიშვნელობა აქვს ლენინი რ. ა. კ. კავშირის მე-3 ყრილობაზე ამბობდა: „კარცენული აზრით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ახალგაზრდობის წინაშე დგას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა“. ამისათვის კი საჭიროა: „რევოლუციური ახალგაზრდობის ღამეშენებაში“ (სტალინი).

გავშვია გაგის მასშავლებელთა სიგლურა

აღსაზრდელად, პატაწებო,
ბედი გვწიეს, მოგვავლინეს,
და ჩვენც გივლით თავდადებით
კოლექტივის წევრთა შვილებს.
თქვენი მოვლა, თქვენი აღზრდა,
სულს ამშვიდებს, გულს ახარებს,
გეტრჭით, გიმლერთ გრძნობას გიელერთ.
გზრდით პატარა კომუნარებს.
გვინდა ჩაგრეთ გულის სილრმეს,
გეცნობით და გეტოლებით
ვით აღმზრდელი, ყრმათა მწროვნელი,
თქვენ ცელქობთ, და ჩვენ კი ვტკებით.

მშობლები კი ოფლსა ღვრიან,
მოსავლისა მოსავლელად,
დაუზარლად, თავდადებით,
სიძლიდრისა შესაქმნელად.
იმ რწმენით, რომ იმათ შვილებს
არაფერი მოაკლდებათ,
შრომაც ნაყოფს მისთვის იღებს
და ხალისიც ემატებათ,
რომ ბაგაში, ბავშვთ კერაში,
მომვლელები ჰყავთ ერთგული,
შენ-ჩემობის განურჩევლად
გულს ულვივისთ სიყვარული.

შ. ნავთლულელი.

პირველი გაფრენა.

ოთხმოცდათი წლის წინათ გერმანიის ერთ პატარა ქალაქში, სახელმობრ შვაბშტადტში, ცხოვრობდა ცნობილი სწავლული კაცი ჰერ დუმკოფი. ის იყო ტანად პატარა, გამხდარი და მელოტი. ცხოვრობდა თავისითვის, არავისთვის არ დაღიოდა და არც არავის ემეგობრობოდა. ასე გაატარა მან ოთხმოცდათექვსმეტი წელიშადი.

ოცდათი წელიშადი იმსახურა შვაბშტადტის ქალაქის საბჭოში უბრალო გადამჭრად. ის არასოდეს არ ფიქრობდა მეცნიერის. სახელის მოხვეჭახე. მაგრამ ერთ დღეს ჰერ დუმკოფი დაითხოვეს სამსახურიდან, დარჩა უმუშევრად და ამ მოწყენის დროს დაიწყო წიგნების კითხვა მათემატიკაზე, ფიზიკაზე და სასოფლო მეურნეობაზე.

ჩარა ხმა გავრცელდა ქალაქში, რომ ჰერ დუმკოფი მუშაობდა მეცნიერულ წიგნებზე, და მართლაც, ბევრი კითხვის შემდეგ ის ყველაფერს მეცნიერული შეფასებით ზომავდა. როცა დაინახავდა ქუჩაზე მიძავალ კაცს, მაშინვე გაიფიქრებდა: „ეს, კაცი სიარულის დროს ძალიან აქნევს ხელს, მაგრამ წარმოვიდგინოთ, მას მოსწყდა ერთი ხელი, სახელმობრ მარცხნა, შეუშლის ეს სიარულს თუ არა? რომ გაიკეთოს ხელოვნური ხელი, მაშინ რაღა იქნება? რა თქმა უნდა, არ შეუშლის სიარულს“.

ერთხელ დილით, როცა არაჩვეულებრივმა ხასურობამ გამოაღვიძა, ჰერ დუმკოფი ღრმა ძილიდან, გამოაჭიტა თვალები და დაინახა, რომ მის ცხვირზე ვებერთელა ბუზი დაცრინდა.

ჰერ დუმკოფი ჩვეულებრისამებრ ჩაითლო უწერებში.

„რა საოცრად დაფრინავს, — წაიბუტბუტა მან თითქოს გაუგებარია, ფრინველები ფრინავენ ფრთების ქნევით, ქათამი რომ გადაფრინდეს, იმისათვისაც საჭიროა ფრთების შემოკვრა. ეს ბუზი კი გაშლილი ფრთებით ფრინავს, არ აქნევს! ძალიან კარგი... ვთქვათ, ფრთები მას შველის, რომ გაჩერდეს ჰაერში. მაგრამ რით მოძრაობს და რით მიფრინავს წინ? ფრთებს არ აქნევს, იქნებ ფეხებით მოძრაობს? უსათუოდ! ფეხებით. თავისი აზრი რომ დაედასტურებია, ჰერ დუმკოფმა დაიჭირა ბუზი და ორივე ფეხი შეუკრა. ბუზმა დიდხანს იფრთხიალა, მაგრამ ვერ გაფრინდა.“

როცა ფეხები შეუხსნა, ბუზი სწრაფად აფრინდა ჰერში. ამ ამბავმა მეტად გაახსარა ჰერ დუმკოფი. „რასაკვირველია, — წამოიძახა მან, — ბუზი ფეხებით ფრინავს ჰაერში. უსათუოდ ასეა! ფრთები შველის, რომ მაღლა გაჩერდეს.“

საღილობის უამს, როცა ჰერ დუმკოფი თავის ღარიბულ კერძს შეეჭცეოდა, მას ამოუბრწყინდა სხვა ფიქრები: „თუ ხალხი მოძრაობს ხელებით, მას შეუძლია წყალში ცურაობა თევზივით, საითაც და როგორც მოესურვება. რუ ადამიანი იმოძრავებს ფეხებით, მას შეეძლება ფრენა ჰაერში ისე, როგორც დაფრინავს ბუზი“.

ყოველ მხრივ იმსჯელა ჰერ დუმკოფმა და გადაწყვიტა მოეწყო ჰაერში გაფრენის ცდა. მხოლოდ საჭირო იყო ვინმეს ეკისრა ხარჯები.

მეორე დღეს ჰერ დუმკოფი გაემგზავრა შვაბშტადტის ქალაქის ბურგომისტრთან, დახმარების სათხოვნელად. ბურგომისტრმა ჰერ კაცენზნაუცმა მოიწონა მეცნიერული ცდების ჩატარების საკითხი.

— ახლა რით შემიძლია გეშსახუროთ, ჰერ დუმკოფ? შეეკითხა ბურგომისტრი.

— გესმისო, ჰერ კაცენზაუც, მე გადავწევით გაფრენა!

— როგორ! — წამოიძახა ბურგომისტრმა და გაკვირვებით მიაშტერდა ჰერ დუმკოფს.

— სულ უბრალოდ, როგორც ბუზი, — მშვიდად უპასუხა ჰერ დუმკოფმა და ბურგომისტრს აუხსნა, როგორ დაფრინავს ბუზი, როგორ იშველიებს ფეხების მოძრაობას და მუდამ გაშლილ ფრთებს.

— ძალიან კარგი, მესმის, — თქვა ბურგომისტრმა, — მაგრამ ვნახოთ, რა აზრის იქნება ამის შესახებ დოქტორი უნდერენდი.

დოქტორი უნდერენდი იყო მაღალი, მხარეცვიანი კაცი, საოცალებიანი. გაიგო თუ არა ეს ამბავი, ღიმილით წარმოთქვა:

— არაფერი ახალი არ აღმოგიჩნია, ჰერ დუმკოფ, ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ წყალბადით გაბერილი ბუშტით აფრინდა ხალხი ჰაერში.

— რაა მერე, რომ აფრინდა, ისინი მხოლოდ ქარის მიმართულებით მითვართატებდენ.

— ეს კი მართალია.

— მე საითაც მოვისურვებ, იქით გავფრინდები, — თავმომწონედ თქვა ჰერ დუმკოფმა.

— ეს როგორ შეგიძლია?! — გაიკვირვა დოქტორ უნდერკინდმა.

— სულ უბრალოდ, როგორც ბუზი, ისე ვამონრავებ ფეხებს ჰაერში.

ბურგომისტრმა მიმართა დოქტორ უნდერკინდს, რომ გაეგო უკანასკნელის აზრი.

— რა მენაღვლება, თუ ეხალისება. იფრინოს! წაილულლულა დოქტორ უნდერკინდმა.

— დიდებულია! — სიხარულით წამოიძახა ბურგომისტრმა — ახლა შემიძლია, ჰერ დუმკუფ, შვაბშტადტის ქალაქის სახურის დავაკისრო მთელი ხარჯები.

ორი კვირის შემდეგ ოსტატმა დაამთავრა ბუშტების გაქთება. ბუშტები გასკეთეს ძალიან მსუბუქი, წმინდა და სრიალა აბრეშუმისაგან. შიგნით და გარეთ წაუსვეს ლაქი, რომ გაზი კარგად დაეჭირა. შემდეგ გაავსეს წყალბადით, და ბუშტები ჰაერზე გაცილებით მსუბუქი გახდა. მერე ორი ბუშტი შეაერთეს მსხვილი დაწნული ბაჭრით და გაუკეთეს სარტყელი, საღაც კაცი უნდა მოთავსებულიყო, ისე, რომ ხელები და ფეხები თავისუფლად ჰქონდა.

დადგა გაფრენის დღე. ბუშტები მიაბეს ქალაქის ციხეზე. მოედანზე მოგროვდა უამრავი ხალხი. აღიოდენ ხეებზე, აივნებზე, სახლების სახურავებზე, ტერასებზე, ჯვუფდებოდენ ლიაფანჯრებში და ყველანი მოუთმენლად ელოდენ ჰერ დუმკოფის გაფრენას.

თორმეტ საათზე გამოცხადდა ჰერ დუმკოფი ქალაქის საბჭოს წევრების თანხლებით. ჰერ დუმკოფს ეცვა თბილი სერთუკი და ფართე ქუდი ეხურა. ვიღაც სიხარულით აღტაცებულმა გოგონამ მიიჩნინა და მკერდზე ვარდი მიაბნია. ის ავიდა ციხეზე, გაუყარა წელი ბუშტებს შეუა დაწნულ სარტყელში, „მშვიდობით“ გაღმოსძახა მოზღვავებულ ხალხს და მხიარულად გაფრინდა. მიფრინავდა სულ ზევით, მოედნის თავზე, სახლების ზევით, ქალაქის ბალის იქით და ცოტა ხნის შემდეგ სულ მიეფარა ჰქონიზონტიდან.

ხალხი დიღხანს იდგა და ყვიროდა. ზოგი ქოლგებს ისროდა ზევით, ზოგი ქუდებს, ზოგი ცხვირსახოცებს და უმრავლესობა ხელებს იშვერდა და განუწყვეტლად ყვიროდა.

ჰერ დუმკოფს პირველ წუთებში გული საშინლად უძეგრდა, თვალებში უბნელდებოდა და თითქოს გრძნობაც ეკარგებოდა, მაგრამ ჩარა მოვიდა გონს, გადმოიხედა ძირს. მის ქვე-

ვით გადაშლილიყო მწვანე მიღამოები. მოჩანდა ლურჯი კვამლით დაფარული ცალთვები ახავერდებული ყვავილნარები, ყვითელი ატლასივით ყანები. ვერცხლის ჩანჩქერები და შორს მოჩანდა შავი გველივით დაკლაკნილი შარაგზები.

ჰქონიზონტიდან ჰქონიზონტიდას ზანტად დაცურავდენ კაშაბა სხივებით მოვარაყებული თეთრი ლრუბლები. ზაფხულის თბილი და საყვარელი ნიავი ქროდა და ჰერ დუმკოფის თავზე წარმტაცად ფანტავდა ასხივოსნებულ ლრუბლის ნაფლეთებს. ხან ლრუბლებს ზევით მოექცეოდა ჰერ დუმკოფი და მის ქვევით აფერადებოდა ოქროსფერ ხალებით მოფარდა გული თეთრი ქვეყანა. ხან ქერასავით დაეშვებოდა ძირს და სოფლის ქოხმახების თავზე დაფართატებდა... უხაროდა, როცა სოფლის გლეხს წააწყდებოდა და შიშით დააფროხობდა, აგრე, შარაზე მიღიან ურმით მოხუცი გლეხი და პატარა გოგონა. ჰერ დუმკოფი მიუახლოვდა მათ და მხიარულად ჩამოსძახა: „დილა მშვიდობისა, ამხანაგებო“ გლეხმა აიხედა ზევით და შიშით ყვირილი მორთო, ურემი უკან შემოაბრუნა და ხარებს შოლტი დაუშინა, რომ ჩარა მიმაღლილი სოფელში.

ჰერ დუმკოფს გაუძნელდა უკან შემობრუნება, ბუშტები ზომაზე დიდი გაეკეთებია ოსტატს.

„მეორეჯერ უფრო პატარა ბუშტებს გავაკეთებ და უფრო დავიმორჩილებ“ — თქვა იავისოვის მან და ნელ-ნელა დაეშვა დაბლა მიუახლოვდა მიწას, მაგრამ ვერ დასძლია, რაღაც მის ძალას აღემატებოდა სიმუშტუქე. თვალი მოჰკრა, მინდონში ერთი გლეხი მიწას ბარავდა.

— ეე-ი, შეე-ნ, ძმო-ბი-ლოო! — ჩამოსძახა გლეხს.

გლეხმა სწრაფად მიმოიხედა ირვლივ. მარდად წამოავლო ჯოხის ხელი და... „ტრახ“. — რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მიარტყა ჰერ დუმკოფს ფეხებზე. „ქში... ქში!“ მიაძახა. „ნამდვილად გიჟია ეს კაცი“. — გადაწყვიტა დუმკოფმა და გაეხარდა, რომ მოასწრო ზევით აფრენა.

შეუა სოფელში, შეუა შარაზე იდგა პატარა ყმაწვილი ფრიცი და ქალალდის გველს აკეთებდა. გააკეთა გველი და კუდზე ბაჭარი გამოაბა. როცა გველი აფრინდა ზევით, ჰერ დუმკოფმა უცდად წავლო ბაჭარს ხელი, მოსწია და ყმაწვილი ჰერში აიტაცა.

— მომექმარე! — ჩამოსძახა გამწარებულმა ყმაწვილს.

გლეხებმა დაინახეს ჰერში აყირავებული ყმაწვილი, ყვირალით მოგროვდენ, დაეკიდნენ ბაჭას და მოქაჩეს.

— ვინა ხა-არ შე-ენ, ე-ი? — დაუყვირეს გლეხებმა.

— მ-ე დუ-უ-მ-კო-ო-ფი-ი *).

— ვი-ინ? — კიდევ შესძახეს.

— დუუ-მკომფი-ი-ი...

გლეხები გაწყონა, „დუმკოფი“ გინება ეგონათ.

— დუმკოფიც ხარ და უარესიც...

მიძახეს და უკანასკნელად მოქაჩეს ბაჭარი. მაგრამ ბაჭარი გაწყდა, და ჰერ დუმკოფი ისევ დარჩა ჰაერში.

დედამიწა შავი ფერებით დაითალხა. ხოლო შორს, შორს, ცის ლურჯ კალთებზე ბეუტაც-დენ ვარსკვლავები. ქარი არ იძროდა, და ბუშტები ერთ ადგილს იყო გაჩერებული გარშე-მორტყმული თანაბარი ჰაერით. ჰერ დუმკოფი მოელოდა გათენებას. მოელოდა, ვინმე დაინახავდა მას ნაცნობი და მოეშველებოდა. შავრამ სად იყო ნაცნობი! ახლა ის სულ სხვა ქალაქის თავზე იყო გამოკიდებული.

— ე-ი-ი-ი, შეე-ნ კა-ცო! — ჩამოსძახა ჰერ დუმკოფმა.

დარაჯი წამოდგა და თვალები მოიფშვნიტა. არ ვიცით, რა მოეჩვენა საწყალ დარჯს, მაგრამ იმ წამსვე ავარდა საღრააჯოზე და გაშმაგებით მორთო ზარების ჩეკა.

ქალაქი ჩქარა გამოცოცხლდა. ხალხი თეთრეულებში გამოეფინა და დაუწყეს ნამძინარე-ვი თვალებით ჰერ დუმკოფს ცქერა. მოედანზე ჩქარა მოაჭენა ცხენი ვილაცა მაღალმა კაცმა, რომელსაც თავზე ყვითელი სპილენძის მუზარადი ეხურა.

ჰერ დუმკოფს ეგონა ის კაცი იყო იმ პატარა ქალაქის უფროსი და რაც შეეძლო დაუყიდო.

— მო-მე-ხმარეთ, ჩა-მი-ყვა-ნეთ ძირს?

მაღალმა კაცმა არ მიაქცია ყურადღება და მის გარშემო მოგროვილ ხალხს რაღაცა უბრძანა. ისინი ჩქარა გაიქცენ ციხის დერეფანში. ჰერ დუმკოფს ეგონა კიბეს გამოიტანდენ და მშენდად ელოდა ჩამოყვანას. მაგრამ დერეფ-ნიდან გამოიტანეს რაღაც უზარმაზარი მანქანა, რომელსაც ერთ მხარეს მობმული ჰქონდა

წვრილი და გრძელი რეზინის მიღლი, ხოლო შეორე მხარეს ფართე და მოქლე. ფარტუ, შეტრანსა ჩაუშვეს აუზში, გრძელი მიღლი აიღო მიმართულმა კაცმა და ჰერ დუმკოფს მიუშვირა. მიღლიდან წყალი მხულით ავარდა ზევით, სულ ზევით, და ვერცხლივით შეცევბი სახეში ეთქეფა ჰერ დუმკოფს. ამ დროს მის ბედზე წამოუბერა ქარმა, და ბუშტები ნელ-ნელა გაცურდა სახ-ლების თავზე.

მეორე დღეს ფრენა ისევ გაგრძელდა.

საღამოუამს ჰერ დუმკოფმა დაინახა შორს ჰორიზონტზე კაცი იდგა შემაღლებულზე და ორივე ხელს იქნევდა. გაეხარდა. იფიქრა, ახლა მაინც მოგავონდი ჩვენებსო, და დარწმუნდა, რომ გაღარარჩენდენ.

უკანასკნელად მოიკრიბა ძალა და ჩამოსძახა:

— მოიტანეთ კიბე, კი-ბე-ე!

კაცი ისევ უსიტყვოდ იქნევდა ხელებს. რამდენათაც უახლოვდებოდა ჰერ დუმკოფი, იმდენად იზრდებოდა ის კაცი და ბოლოს ნაძვის სიმაღლე გამოჩნდა. „ეს ნამდვილად დოქტორ უნდერკინდია“ — გაუელვა აზრმა და მეორედ ჩამოსძახა:

— დოქტორ უნდერკინდ, ეს თქვენა ხართ?

კაცმა მაინც არაფერი უსასუხა. ახლა ორი ხელის მაგიერ ოთხ ხელს იქნევდა.

— ეხ, დუმკოფ... დუმკოფ...

შემაღლებულზე კაცის მაგიერ ქარის წისქვილი იდგა.

ჩქარა გავარდა ხმა, რომ გერმანიის მხარეში დაფრინავდა რაღაც საოცარი არსება. ზოგიერთები ამბობდენ, რომ ეს საოცარი არსება თითქოს მარსიდან იყო შემთხვევით ჩამოვარდნილი ჩვენი დედამიწის არეში. ზოგიერთები კი ფიქრობდენ, რომ ეს რაღაც ახალი ჯიშის ფრინველი იყო, ნახევრად წერო, ნახევრად კაცი. ნამდვილად არაფერი არ იცოდენ.

ბოლოს, როგორც იყო, ამსტერდამში დაეშვა, მაგრამ დუმკოფი ამსტერდამში არ დარჩა. საჩქაროდ ჩამოვიდა ქალაქ შვაბშტადტიდან დელეგაცია — ბურგომისტრი, დოქტორი უნდერკინდი სხვებთან ერთად და დიდი ამბით წაიყვანეს შვაბშტადტში. ჰერ დუმკოფი შეუდგა მეცნიერული წიგნის წერას ბუზებისა და მწერების მავნებლობაზე. დაწერა სქელი წიგნი, მაგრამ დამთავრება აღარ დასცალდა, აღრე გარდაიცვალა. ამ ხუთი წლის წინათ, მისი გარდაცვალების სამოცდათუთმეტი წლის თავზე,

*) გერმანულად დაუმ კოპფ ლანძლვა.

ქალაქ შვაბშტადტში დადგეს ჰერ დუმკორფის ბიუსტი — გამხაღრი, მელოტი მოხუცი.

იმ მოხუცის ბიუსტი რომ გაცოცხლდეს და გადმოხედოს ქვეყანას, რა სიხარულით ივსებოდა მისი გული ამ სანახაობით. თუ რთხმოცდათი წლის წინათ ბუშტების მსგავსი აერო-

სტატით თითო კაცი ძლივს აფრინდებოდა ნახევარი კილომეტრის სიმაღლეზე, ახლა დღიურები დაფრინავენ, მგზავრებით სავსე ჰაროპლანები შეჯიბრს მართავენ ჰაერში და, ვინ იცის, მეორე ასი წლის შემდეგ, შეიძლება, ჩვენი მფრინავები მთვარეზეც გაფრინდენ.

შიმქრალი.

შეუამლავი თესლი.

ვანო იჯდა გიგას გვერდით,
უცქეროდა მამის თვალებს...
— ვინც სიტყვას არ დამიჯერებს,
იყი, მამა, იზარალებს.
ვისაც უნდა მოსავალი
რომ საგრძნობლად გაადიდოს,
თესლი უნდა შეიწამლოს,
თესლი უნდა გაიწმინდოს.
მყათათვეში ჩვენი ყანა
წამოზრდილი იშრიალებს,
შიგ რომ შეხვალ, ბრწყინვალება
დაემჩევა მაგ შენ თვალებს.
— კარგი, შვილო, ვნახოთ, აბა,
შევწამლავ და დავთეს ისე...

ვანოს ძლიერ გაეხარდა,
მოემატა სიხალისე.
ფიქრობს: „მამამ მოიწონა
ჩემი ჩემი გულითადი,
მოსავალი ცუდი გვქონდა,
შეუწამლავს რომ ვთესავდით“.
შემოდგომის ქარია და
ცივა, თითქო არის ყინვა.
ვანოს მამა, ვანოს დედა
წვანან, სახლში ისმის ხვრინვა.
ვანო ძლიერ დაღლილია,
მაგრამ ჯერ არ ეძინება,
უხარია, რომ ხვალ დილით
ისევ სკოლაში იქნება.

შ. სამადაშვილი.

ა ლ გ ო გ ი *).

ქეთო და მაყვალა სკოლაში ერთ მერხზე ისხდენ.

ერთხელ ქეთომ, გაკვეთილის დაწყების წინ, მერხიდან პორტფელი ამოილო და წყნარად გადმოალაგა. სხვადასხვა ნივთები: წიგნები, რვეულები, ორი ფანქარი, დაჭმუჭნული ცხვირ-სახოცი და ათასი რამერუმე.

— უჰ, ეს რა გქონა! — შეკვირა მაყვალამ.

მერხზე მოგრძო, წითელ ხავერდის ყდიანი წიგნაკი იღრუ.

— შეიძლება დავათვალიერო? — იკითხა მაყვალამ.

— რა დასათვალიერებელი ეგ არის, — მიუგო ქეთომ.

მაგრამ მაყვალამ უკვე ხელთ იგდო წიგნაკი და გადაშალა.

— ოჟო, ალბომი, ყოფილა!

ეს იყო ჩვეულებრივი ლექსების ალბომი, ხავერდისყდიანი, ოქროსვარაყიანი ფურცლებით. ალბომი სავსე იყო ფერად-ფერადი სურათებით. რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყო: ალმოდებული, გაისრული გულები, უცნაური, არნახული ვარდები, ფრთიანი, ჩაკვინილი ბავშვები, ცისფერკაბიანი ქალიშვილები, თმაგაშლილი ქალთევზები. აქვე იყო ბანტიანი, თავდიდა კატები, თვალებგაღმოკარკლული ბაღლები, უცნაურად აჭრელებული ჩიტები, რომელთაც პირში ბარათები ეპყრათ. ალბომის თითქმის ყოველ ფურცელს კუთხე ჰქონდა აკეცილი და ზედ დიდის ამბით ეწერა: „საიდუმლო“.

ამ გადანაკეცს თუ გახსნიდით, ასეთ შწარე საყვედურს წააწყდებოდით:

„რად გახსნი საიდუმლო,
ეშმაკო და მამუნო?“

*) აზრი ალექსანდრე



მაგრამ ყველაფერს ალბომში ჩანაწერი ლექ-
სები სჯობდა. ლექსები აქ ბევრი იყო. ზოგ
ლექსის ქვეშ სრულად სახელი და გვარი ეწე-
რა, ზოგის ავტორს კი უცნაური მორცხვობა
დაუფლებოდა და ლექსის ქვეშ მხოლოდ თა-
ვისი სახელისა და გვარის პირველი ასოები და-
ეწერა. ზოგსაც აელო და მთელი ანაბანა გამო-
ეყვანა, აი ასე:

დ. ბ. ბ. რ. დ. მ. გ. ვ. კ. მ.!

მაყვალამ ლექსების კითხვას მიჰყო ხელი.
პირველ გვერდზე ასეთი ამბები ეწერა:

კენ-კენ-კენ,

ქეთინოსაკენ!
ჩვენი ქეთო ნაზია,
ნეტა რა ლამაზია,
ყველა მას ენაცვალოს,
ევროპა და აზია!
გან-გან-გან,

ფაციკოსაგან!

შემდეგ გვერდს საყვედური ამშვერებდა:
რა ლამაზი ვარდი. ხარ,
თხუთმეტ მაისს გაშლილხარ,
ეს კი ძან მწყენია,
ჩვენთან რომ არ დადიხარ!

ამას თხოვნა მოსდევდა:
გიძლვნი მე ლექსია,
მიხარის გული,
გთხოვ, შეინახო,
ვით თაგული.

შემდეგ ამისა ვიღაც დინჯი დეიდა წერდა
მწვანე ფურცელზე:

გაზარდე დიდი ქალი,
შეასრულე მშობლის ვალი,
გაუგონე დედას, მამას,
მე გისურვებ, ქეთო, ამას!

დეიდა ამით არ დაკმაყოფილდა და მწვანე
ფურცლიდან ყვითელზე გადაიტანა თავისი და-
რიგებები:

ისწავლი, არ იზარმაცებ, —
ინუენერი იქნები;
არ ისწავლი, იზარმაცებ, —
ქუჩისმგველი გახდები!

ამას გულისმომკვლელი სიტყვები მოჰყე-
ბოდა

ერთი ნახვით შემიყვარდა — ქეთო!
გულში ვარდად ჩამეთხესა — ქეთო!
ახ, ნეტავი არ მენახა — ქეთო!

შენი კარგი ამხანაგი თაფაცურა!

ყველაფერს ამას ასეთი აბდაუბდა აგვირგვი-
ნებდა:

ერთი გოგო დავინახე,
მე მეგონა ია-ია,
როცა კარგად დავაკვირდი,
ეს ყოფილა ქეთო-ია!

→ ფხუქ! რა სისულელეა! — ჩაიფხუკუნა
მაყვალამ, — ნეტავ შენა, ქეთო, რომ ასეთ
აბდაუბდას ეწევი.

მე ვეწევი? — გაიოცა ქეთომ, — სულელო,
ეს ალბომი ხომ შარშანწინდელია. ისე მქონდა
შენახული.

— ჰო, ჰო, მოჰყე ტყუილებსა. განა არ გი-
ცნობ...

ქეთომ წარბი შეიკრა.

— თუ არა გჯერა და, — ჩაიჩურჩულა მან,
თან თვალების გუგა ჩაუმუქდა, — არც საჭი-
როა. რალას ათვალიერებ. მე ხომ არ გადამი-
შლია შენთვის ეს ალბომი. მოიტა აქ!

ალბომი ხელიდან გამოჰვიზა მაყვალას
და პირტფელში ჩადგა.

— არ გადამიშლია! — მხრები აიჩეჩა მაყ-
ვალამ. — მაშ საიდუმლოდ ინახავდი, რალო!
ოხო, ეგებ სახლში პუდრიცა გაქვს, ფერ-უმა-
რილიც.

ამათ ლაპარაკში გაკვეთილი რახანია დაწყე-
ბულიყო.

— ემანდ რას მუსაიფობთ? — თქვა მასწავ-
ლებელმა, ამხანაგმა ნიკომ. — ქეთოც მუსაი-
ფობს? აბა, ქეთო, დაფასთან გამო.

ქეთო მიუახლოვდა დაფას. მან გულმოდგი-
ნედ გადაწმინდა იგი სველი მჩვრით, აიღო
ცარცი და საწერად მოემზადა. ამხანაგმა ნიკომ
წიგნი მიაწოდა.

— აბა, — უთხრა მან — გადაიწერე ეს ნა-
წყვეტი. ზმნის სართებს ხაზი გაუსვი, პირდა-
პირი და არაპირდაპირი მეტყველება კი გაა-
ცალკევე ერთმანერთისაგან.

ქეთო შეუდგა წერას. ის შუბლს ისრესდა,
ტუჩებს აცმაცუნებდა, ფეხს ხშირად ინაცვლებ-

და. წუთის შემდეგ ყველაფერი მზად იყო.
კე! — თქვა ამხ. ნიკომ, — კარგია, კარგია, ყო-
ჩალ! შენ ჩხარტიშვილო, გემარჯვება ჩემი სა-
განი. დაჯექი. თუმცა, მიჩვენე ჯერ შენი რვე-
ული!

ქეთო მერხს მიუბრუნდა და რვეული ამო-
ილო. ეს ჩინებული რვეული იყო, სუფთა და
წესიერი. მაგალითები შიგ დიდი ასოებით იყო
ამოშერლი, მთავარი აღვილები ფერადი ფანქ-
რით ხაზგასმული. ქეთომ რვეული ამხანაგ ნი-
კოს გაუწოდა. ამან გადაფურცლა, გადაფურც-
ლა და უცებ გაჯავრებით შესძახა:

— მოითმინეთ, მოითმინეთ! ეს საღაური ამ-
ბავია, რომ ასეთ რვეულს კაცი ჩქმალავდეს?
ამ რვეულს მე შენ ჩამოგარტმევ. დიახ, დიახ,
ნუ მეშინაალმდეგები. ის ჩვენი მიღწევების და-
ფაზე უნდა იქმნეს გამოკიდებული.

გაისმა ზარის წკარუნი.

— მორიგევ. — დაიძახა სოსომ, ჯგუფკო-
მის თავმჯდომარემ, — აბა, დაცალე სასკოლო
ოთახი.

— გასწით, გასწით, — მხიარულად შესძახა
ქეთომ და ფანჯრები ფართოდ გამოაღო. ბავ-
შვები სიცილით, ხმაურით გაექანენ დერეფნი-
საკენ.

— მაყვალა! — დაუძახა ქეთომ, — შენ რა-
ღას უზი მანდა, ხმო არ უნდა გემუდარო?

მაყვალამ არა უპასუხა რა, ჩანთა შეიკრა და
მდუმარედ გავიდა ოთახიდან.

ქეთო შინ გვიან დაბრუნდა.

— ქეთუნი, — გამოსძახა დედამ სამზარეუ-
ლოდან, — ერთი კარგი ქალობა ქენი, დაასუფ-
თავე ოთახი, ხედავ, არა მცალია.

დედა სარეცხა რეცხდა. სამზარეულოში
ქვაბები ჩუქჩუქებდა. ჭუჭყიანი ქაფი თავს გა-
დასდიოდა ქვაბებს და გავარვარებულ ქურის
შიშინით ესხმებოდა.

ქეთომ გამონახა ცოცხი, დაიმკლავა და შე-
უდგა საქმეს. ჯერ საწოლები დაალაგა, სუფ-

რა გადაბეტყა. შემდეგ ფანჯრები გამოაღო და
დაგვას მიჰყო ხელი.

ამასობაში მამაც მოვიდა სამსახურიდან ურთიერთი

— აბა, კამის რა ისმის? — იკითხა მან და
ტყავის ქურთუკი გაიხადა.

— ქეთინო, — თქვა ოთახში გამოსულმა
დედამ, თან ხელებს წინსაფარზე იმშრალებ-
და. — გაიქ ფურნეში, ჩვენ ჯერ პური არ
აგვიღია.

ქეთომ ჩამოიფხატა თავისი ცისფერი ქუდი.
ქუჩაზე აღრიანი გაზაფხულის ნესტი ტრია-
ლებდა. უთავპოლოდ წვიმდა და ტლაპოებს
გვერდს ვერ აუვლიდით. ქეთომ თავდალმართი
ჩაირბინა და პროსპექტზე გაჩნდა. ღამდებოდა.
კინები და ოეატრები მიზზიდველად გაჩირალ-
დნებულიყო. ელნათურების შუქი სველ ტრო-
ტუარებს ისე აბრკვევიალებდა, თითქოს ვილა-
ცას ტალახში უამრავი ბრილიანტი გაუფან-
ტავს.

უკან დაბრუნებულ ქეთოს ხელში ქაღალდ-
ში გახვეული პური ეჭირა. პური ცხელი იყო,
და გოგონას ხელთაომანები სითფონ დანამა.

ხიდზე ქეთო მაყვალა შეეჩეხა. ორთავეს
მოაგონდათ დილანდელი შეტაკება. გოგონები
დაიბნენ, მათ აღარ იცოდენ, საიდან დაეწყოთ.

— სად მიღიხარ? — ჰკითხა ქეთომ.

— ცუდი ამბავია, — მიუგო მაყვალამ.

ისევ უხერხული დუმილი.

— სად მიღიხარ? — ჰკითხა ქეთომ.

— მოზარდ მაყურებელთა თეატრში. შენა?

— შინ. მოზარდში ჩვენებიც იქნებიან?

— მთელი კოლექტივი. წამო ჩვენთან.


— არ მინდა! — თქვა ქეთომ და პური ილ-
ლიაში ამოიჩარა. მას ძალიანაც უნდოდა წა-
სვლა, მაგრამ დედას რომ უნდა მიეშველოს?
ამის თქმა კი რატომლაც შერცხვა. ასე ხდება
ხოლმე, ხშირად ადამიანები ისეთ რამეს ირც-
ხვენენ, რაც სრულებით სამარცხვინო არ არის,
და ამის მიზეზით მართლაც სამარცხვინო ამ-
ბავს იჩემებენ, ოლონდ კი მართალი მიჩქმალონ.

— არ წავალ, — გაიმეორა ქეთომ.

— არც საჭიროა! — მოუჭრა მაყვალამ. —
იჯექ სახლში და ალბომები ატრიალე. დაუხუ-
რავს ცისფერი ბერეტი! ნაზიბროლა.

— თვითონ შენა ხარ ნაზიბროლა! — შე-
ჰყვირა აპილპილებულმა ქეთომ და ფეხი და-
აბარტყუნა.

— ალბომები! — გესლავდა მაყვალა. —
ვარდები, გაისრული გულები, ეჭ, შენა! პიო-
ნერი მაინც არ იყო.



— ის ხომ ძველი ალბომია...

— შენა გვინდა არავინ იცის ეგ ამბავი? მე ვიცი, ყველამ იცის! შენ კი მიჩქმალვას აპირებდი, განა? სულერთია, ბაზის საბჭო მაგას არ გაპატიებს.

ქ'ეთომ ზურგი შეაქცია და წასასვლელად მოემზადა.

— არ გაპატიებს, არ გაპატიებს! — მისძახა მაყვალამ.

ქ'ეთო უკან მიუხედავად მიდიოდა. ის მეტად ნაწყენი იყო.

გულები! — ფიქრობდა ის, — მე მაგათ ვა-ჩვენებ გულებს. რას გადაეკიდნენ ამ ჩემს ალ-

ბომს? აი, მივალ შინ და დავთხრებ! და ვთხრებ!, ჰო.

და გაექანა.

აი სახლიც. გოგონამ შეგლიჯა კარი. ქარივით შევარდა ოთახში. პური მაგილაზე დაანარცხა. ეცა პორტფელს. სასწრაფოდ ამოყარა წიგნები, რვეულები, პენალი. მთელი პორტფელი გადააქოთა. გადაშლილი წიგნები უპატიურად ეყარა იატაკზე. რვეულებიდან საშრობები ამცვენილიყო.

ალბომი არსად იყო.

(დასასრული იქნება).

8. მიქელაძე.

პიონერული.

შემოდგომა დგება უხვი,
ბუნებაა მხიარული,
რა კარგია ტყეში გავლა,
და მინდვრებში სიარული!
ყველგან შრომის ყიუინაა,
შრომა არის მაღიანი,
არვინ არის მოწყენილი,
არვინ არის დარღიანი.
ოქროსფერად აღალნად
სიმინდების ვრცელი ყანა,
რა მარჯვენამ ჩათესა და,
რა მარჯვენამ მოიყვანა!
აქ ყანაში სიხარულით
დაცერიალებს ჩვენი გივი,
უხარია, რომ მუშაობს
მისი მარჯვე კოლექტივი.
გაბრწყინვებულ თავთავებში
დატრიალებს კაცი, ქალი,

რომ მიიღონ მეტი ხვავი,
მეტი, კარგი მოსავლი...
უხარია პატარასაც,
რომ იმარჯვებს ხალხის მაჯა,
რომ ახლანდელ ეპოქაში
მთავარია შრომა, გარჯა.
და საღამოს, როცა სახლში
დაბრუნდება მხიარული,
წიგნში არის მისი თვალი,
წიგნში არის მისი გული.
უყვარს უურნალ „პიონერი“
და ლექსები მხიარული,
ხელში წიგნი და პიონერ
კოლექტივში სიარული.
შემოდგომა დგება უხვი,
ბუნებაა მხიარული,
რა კარგია შრომა, გარჯა,
სიმღერა და ქრიამული!

ლადო ასათიანი.

რა არის პატიერიოდივაზი.

1. აღაშიანის პატარა, მაშრავ სასტიტი გტრები.

ცოცხალ სამყაროში, რომელიც ჩვენ გარს გვარტყია, მრავალი სხვადასხვანაირი არსებაა. ზოგი მათგანი დიდია, ზოგი კი მცირე. ცნობის-მოყვარე ადამიანს ყოველთვის ეხალისებოდა უდიდესი და უპატარავესი არსების ძებნა. დიდი ცხოველების მოძებნა, ცხადია, ადვილი საქმე იყო, ვინაიდან ასეთი ახმახი არსება, როგორიც სპილო და ვეშაპია, აღამიანის თვალს ვერ გამოეპარებოდა.

სულ სხვად უმცირესი ცხოველები, ზოგიერთ მწერებს ვერც კი შეამჩნევ. თუ თვალი ძალიან არ მიუახლოვე. რწყილი, მაგალითად, პატარა ადგილს იკავებს, რწყილზე კი გაცილებით უფრო პატარა ზომისაა მუქთახორა პატარა არსება, რომელიც ყველში ჩნდება. ამ არსებას „ყველის ტკიპს“ უწოდებენ და ინგლისის სამეფო სამეცნიერო საზოგადოებაში მას თვლიდნენ უპატარავეს ცოცხალ ორგანიზმად.

ეს იყო მე-17 საუკუნეში.

იმდროინდელ მეცნიერებს არავითარი ეჭვი არ ჰქონდათ აღებული იმის შესახებ, რომ მათს ირგვლივ და თვით მათს სხეულში ცხოვრობს უამრავი პატია არსება, რომლებთანაც „ყველის ტკიპი“ უზარმაზარი რამ გამოჩნდებოდა.

მაგრამ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ჰოლანდიელმა მეცნიერმა **ანტონ ლევენჟუკმა** თავისი გამოკვლევებით ბრწყინვალედ დამტკიცა ამ უპატარავესი ცხოველების არსებობა. ლევენჟუკმა დაამზადა ისეთი გამაღილებელი მინები, რომლებმაც მას საშუალება მისცეს ჩაეხედა ამ მრავალფეროვან სამყაროში: წყალში, საკუთარ ნერწყვში და მრავალ სხვა სითხეში. მან დაინახა უამრავი ცოცხალი არსება, რომლებიც სწრაფად მოძრაობდნენ, კუდებს იქნევდნენ და იკლაკნებოდნენ.

ამ პატია ცხოველებს ბაქტერიები ეწოდება.

თუ რამდენად პატარაა ბაქტერია, ეს მოჩანს შემდეგი რიცხვებიდან: წიწაკით გაზავებულ წყლის ერთ წვეთში ცხოვრობს დაახლოვებით სამი მილიონი ბაქტერია, ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც მოსკოვში ადამიანია. თითოეული ბაქტერია რამდენიმე ათასჯერ უფრო პატარაა, ვიდრე რწყილის თვალი. თითოეული ადამიანის სისხლში, ნერწყვში, თითოეულ მდინარეში და ჭაობში, ქალაქთა ჰაერში და საჭმელში ცხოვრობს უამრავი ბაქტერია.

ლევენჟუკის აღმოჩენამ მთელი რევოლუცია მოახდინა მეცნიერების იმ დარგში, რომელსაც **ბიოლოგია** ეწოდება. მეცნიერებმა დახელოვნებული ოსტატების შემწეობით შექმნეს გაუმჯობესებული გამაღილებელი ხელსაწყო — მიკროსკოპი. მიკროსკოპმა გაადვილა უმცირეს არსებათა აღნაგობისა და ყოფაცხოვრების შესწავლა, და მალე კაცობრიობის თვალშინ გადიშალა საკვირველი ფაქტები.

გამოიჩევა, რომ ბაქტერიები სრულადაც არ წარმოადგენენ ერთი ტიპის ორგანიზმებს. ბაქტერიების მიკროსკოპული სამყარო თითქმის ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ცხოველთა და მცენარეთა ხილული სამეფო.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანის ცხოვრებაზე ბაქტერიები უზარმაზარ გავლენას ახდენენ. ეს გავლენა ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანისათვის სასარგებლოა, ზოგჯერ კი მავნებელი. განსაზღვრული ტიპის ბაქტერიები ხელს უწყობენ მაწვნის შედედებას, პურის გაფუუბას, ღვინის დაყენებას და სხვა სასმელ-საჭმლის დამზადებას, მაგრამ არ-

სებობს სხვა მრავალი სახის ბაქტერია, რომელიც ადამიანისა და ცხოველების დაუქმნებელი გამტკიცები არიან.

ასეთი ბაქტერიები, ანუ ბაცილები, იკვებებიან და მრავლდებიან იმ მასალით, რომლითაც აგებულია როულზ თრგანიზმები, ე. ი. სისხლით, ქსოვილებითა და წვენებით. ეს ბაქტერიები წარმოადგენენ ყოველგვარი გადამდევ სნეულებათა მიზეზს. თითოეულ გადამდებ სნეულებას, ანუ, როგორც ექიმები იტყვიან ხოლმე, ინფექციას, ჰყავს თავისი საკუთარი ბაცილა. ასეთი სნეულებებია, ჭლექი, შავი ჭირი, ყვავილი, ხუნაგი, დიზენტერია და მრავალი სხვა.

ბოლოსა და ბოლოს გამოირჩევა, რომ კაცობრიობის ბედი ამ პატაწკინტელა მარტივი არსებების ხელში ყოფილა. ბაქტერიები ქმნიან მრავალ უბედურებას ეპიდემიების სახით: გადამდები სნეულება ბაქტერიების საშუალებით გადადის ადამიანიდან ადამიანზე, ვრცელდება ქლაქიდან ქალაქში და ვეებერთელა ქვეყნებს მოედება ხოლმე. დროგამოშვებით ეპიდემიების გამო სხვადასხვა ქვეყნებში აუარებელი ხალხი იხოცება: ცხელ ქვეყნებში მძვინვარებს შავი ჭირი, დეზინტერია და ყვითელი ციება, რუსეთში კი უფრო ხშირად მუცლისა და პარტახტიანი ტიფი.

უკვე დიდი ხანია, რაც მეცნიერება ბაქტერიებთან ბრძლის ხერხებს ეძებს. ბაქტერიოლოგიამ ისარგებლა შეგუების უნარით, რომელიც ადამიანის ორგანიზმს ახასიათებს და გადამდებ სნეულებათა თავრიდან აცილების მიზნით შემოღებულ იქნა **აცრა**.

აცრამ კაცობრიობას დიდი სამსახური გაუწია. იგი ახლაც დიდ გამოყენებაშია.

2. ადამიანის უხილავი მეგობრები.

1917 წელს ფრანგმა პროფესორმა მიკრობიოლოგმა **ფელიქს დ'ერელმა** საკვირველი რამ აღმოაჩინა.

ზუსტი სამეცნიერო ცდებისა და დაკვირვებების მეოხებით დ'ერელი მიაღდა იმ დასკვნას, რომ ბაქტერიები და ქსოვილთა შემაღენელი უჯრედი სრულიად არ წარმოადგენენ უმცირესასა და უმარტივეს ორგანიზმის გრძელებულ ერთეულებს. დ'ერელმა მოხდენილი ცდებით დაამტკიცა, რომ არსებობენ ბაქტერიებზე გაცილებით უფრო მცირე ცოცხალი არსებები. მათ ულტრამიკრობები ეწოდება.

თავისი აღნაგობისა და თვისებების მიხედვით ისინი იყოფიან სახეებად. ასეთი სახეების ერთ ჯგუფთაგანს შეადგენენ ბაქტერიოფაგები.

სიტყვა „ბაქტერიოფაგუს“ ნიშნავს (ლათინურად) - ბაქტერიების შემსანსვლელს. ამ სახელწოდებას საფუძვლად უდევს ბაქტერიოფაგის შესანიშნავი თვისება. ბაქტერიოფაგის სრულიად არ ეხებიან ცხოველის სისხლს, ვენებსა და ქსოვილებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბაქტერიებით იკვებებიან. თუ გაამრავლებთ ბაქტერიებს და შეიყვანთ შიგ განსაზღვრული ჯიშის ბაქტერიოფაგებს, მალე პაწია ბაქტერიოფაგები მუსრს გაავლებენ ბაცილებს.

მაშ თუ ბაქტერიოფაგები ხოცავენ ბაქტერიებს, რატომ არ შეიძლება ისინი გამოვიყენოთ გადამდებ სწრულებათა გამომწვევი ბაცილების წინააღმდეგ?!

დ'ერელი შეუდგა მუშაობას ბაქტერიოფაგების პრაქტიკული გამოყენებისათვის. მან გამოიმუშავა წესები იმისა, თუ როგორ მიემართა ბაქტერიოფაგების ლაშქარი ავადმყოფ სხეულებში დაბანაკებულ ბაცილებზე. ამ მუშაობას პროფ. ფელიქს დ'ერელმა უკვე 16 — 17 წელი შესწირა და ამ 17 წლის განმავლობაში

მისმა მოღვაწეობამ საკვირველი შედეგები მოგვცა.

ლაბორატორული ცდების შემდეგ დ'ერელი მა დაიწყო ბრძოლა ეპიდემიებთან დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში. მან აწარმოა ომი დეზინტერიასთან არგენტინის რესპუბლიკაში (სამხრეთ ამერიკა), შავ. ჭირთან ინდოეთში და სხ. ავადმყოფს სისხლში უშხაპუნებდა ბაქტერიოფაგებს; ბაქტერიოფაგები ებრძოდენ ბაცილებს და უმეტეს წილად ავადმყოფი სწრაფად იკურნებოდა. უხილავი პაწია არსებების მოღვაწეობამ მრავალი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა.

დ'ერელის მუშაობამ ნაყოფი გამოიღო აგრეთვე ჩირქის გამჩენ მიკრობებთან ბრძოლაში.

პროფ. ფელიქს დ'ერელი ტფილისშიც ჩამოვიდა. იგი აწარმოებს ბაქტერიოფაგების საშუალებით მუცლის ტიფთან ბრძოლას. მისმა ცდებმა, რომლებიც მან თვენახევრის განმავლობაში ჩაატარა საქართველოს ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში, უკვე მოარჩინა ტიფით და ავადგებული რამდენიმე კაცი.

პაწიაწინა ბაქტერიოფაგებმა უნდა იხსნან მრავალი ათასი მშრომელი ტიფის ულშობელი ეპიდემიებისაგან.

ლ — 8.

გ ე რ პ ე ტ ი *).

(რეინიდან).

(დასასრული).

5.

ბოლოს, როგორც იყო, სულ გაემზადა კოლა სამგზავროდ. ჩაწყო ჩანთაში ყველაფერი, რაც საჭირო იყო, და გასწია. გზაზე მტვერია, მზე აცხუნებს, დასცხა კოლას. ჯოხი მხარზე აქვს, ჯოხზე ჩანთა და მიაბიჯებს. აჲ, ასე არ ვარგა, ჩანთა მძიმეა, ჯოხმა მხარი ატყინა. დაფიქრდა ზიჟუნა, წინ იხედება, ათვალიერებს ისეთ აღგილს, სადაც შეიძლება შესვენება, და უცბად იგრძნო, თითქოს მისი ტვირთი შემსუბუქდა.

— ეჲ! რა მსუბუქია! — სიმღერაც კი შემოსძახა. თვითონვე ეცინება: მიჲქონდა თავისი ჩანთა, იქედან არაფერი არ ამოულია, ჩანთა კი გამჩატდა. გაასწორა ჩანთა, ჯოხის თავზე წამოაცვა, ჯოხი ზურგს უკან მისწია და... ეს რა უცნაური ამბავია, ისევ დამძიმდა ჩანთა.

— აჲა, მივხვდი, მივხვდი!

კოლამ წინ წასწია ჯოხი, რამდენათაც კი შეიძლებოდა, და უცებ გამჩატდა ტვირთი.

შეხედა — გლეხი მოღის, მხარზე ჯოხი აქვს, ჯოხზე ფუთა.

შეხედა თუ არა კოლამ ჯოხსა და ფუთას, მაშინვე გაჩერდა და შუბლში შემოიკრა ხელი.

— ბერკეტი! ბერკეტი! ბერკეტი!

მიღის კოლა და ლანძღავს თავის თავს.

— ეხ, კოლა გამოჩერებებულო! აკი ყოყოჩადი — ბერკეტი არსად გამომეპარებათ, საკუთარ მხარზე კი ვერ შენიშვნე ბერკეტი. ჩემი მხარი ხომ საყრდენია, ჯოხის ორივე ბოლო კი ბერკეტის ბოლოებია, თავიდანვე ასე უნდა მომეწყო, როგორც ახლაა: ზურგზე, სადაც

*) დასაწყისი იხ. უურნ. „პიონერი“-ს № 7—8.



— ეი, პეტრო, მოიტა გასაღები, ომკანი გა-
აღე!

გასაღები არსად იყო, ფაცაფუცში დამკიცებულ
ყებოდათ მისი წამოღება, ლანძღვდენ ერთმა-
ნეთს, ალი კი ბობოქობდა. უცებ მუშამ მოი-
რბინა ონკანთან.

— ბიჭებო, მე ხელსაწყოები მაქვს თან, იქ-
ნებ მივუყენოთ რომელიმე გასაღები! თუმც-
სახანძრო გასაღებები არაა, მაგრამ მაინც გამო-
გვაღება.

წამოაცა გასაღები ონკანის თავს, გლეწია,
მაგრამ ამაოდ: არ მოტრიალდა ღერძი, არ წა-
მოვიდა წყალი; მას მეხანძრე მიეშველა, მაგ-
რამ მხოლოდ ხელს უშლიდენ ერთმანეთს.

მისხერობოდა კოლა ხანძარს და ფიქრობს,
თუ სად უნდა იშოვოს სახანძრო გასაღები.

უცებ მუშამ მიაძახა მას:

— ბიჭო, გაიქე და მოარბენინე მილის აი ის
ნაჭერი, კედელთან რომ აგდია.

მოურბენინა კოლამ მილი, თანაც ფიქრობს:
„რად უნდა მილი?“ მუშამ კი მილი გასაღების
ბოლოს წამოაცა და, რაც ძალი და ღონე
ჰქონდა, დააწვა მილს. მოტრიალდა ღერძი გა-
სწორდა სახანძრო მილი, და წყლის ნაკადი შე-
წრია ცეცხლში.

როგორ აღმოაჩინას ჩრდილოეთის დიდი გზა

ეს არის ვიკინგების სამხედრო ნავი. ვიკინ-
გები იყვნენ სკანდინავიის მცხოვრები, რო-
მელნიც, როგორც ყაჩალები, ასეთი ნავების სა-
შუალებით მოგზაურობდენ ზღვაზე, ძარცვავ-
დენ უცხო მგზავრებს, ესხმოდენ თავს ზღვის
ნაპირის მოსახლეობას და აწიოკებდენ.

ათასი წლის წინათ, მათ მრავალი ადგილი
დღმოაჩინეს. ზღვებში, მათ შორის გრენან-
დია, შპიცერგენი და მიდიოდენ თვით ჩრდი-
ლოეთ ამერიკაში. ხშირად ისინი ნორვეგი-
ოდან მოცურდებოდენ ხოლმე ჩვენი მხარის
ჩრდილოეთის ნაწილებში.

ვიკინგები ხშირად იღუპებოდენ თავიანთ
თეთრ ზღვაში, რაღაც ვერ სძლევდენ მის მო-
ულოდნელ ცვალებადი და ცბიერი დინების
წინააღმდეგობას.

ეს კი ზღვაში მოცურავე ჰოლანდიელ ბა-
რენცის (ქ. ამსტერდამიდან) უძველესი იალქნი-
ანი ნავია. სამას ორმოცი წელია მას აქეთ, რაც
ბარენცი ამ ნავით გაემგზავრა კუნძულ ახალი
მიწისკენ. იქ მისვლისას ნავი ჩაიყინა ყინულო-
ვან ზღვაში, და ბარენცმა და მისმა თანამგზავ-

რებმა საშინელ ტანჯვა-წვალებაში გაატარეს
ბნელი, პოლარული ზამთარი.

ზამთრის სუსტში, წვალებით დაღლილი ბა-
რენცი ნავზე გარდაიცვალა, მან ვერ იტანა ეს
ძნელი მგზავრობა. მისმა თანამგზავრებმა ამხა-
ნავებმა ბარენცი დაასაფლავეს ახალი მიწის ყი-
ნულოვან უდაბნოში. მის საპატივსაცემოდ
შპიცერგენსა და ახალ მიწას შორის მდებარე
ზღვას, რომელშიაც ცურავდა ბარენცი, ბარენ-
ცის ზღვა ეწოდა.

ბარენცის ოცნება იყო შემოვლო ევროპი-
სათვის და მოხვედრილიყო ჩრდილოეთის გზით
ჩინეთში. ის ეძებდა ჩრდილოეთის დიდ გზას.

„ვეგა“ — ასე ეძახდენ ორთქლის ძრავით
მოქმედ არც ისე პატარა გემს, რომელიც ამ
ორმცდაათი წლის წინათ გაკეთეს შვეციის
ერთ-ერთ ნავსადგურში, სახელდობრ — გეტე-
ბორგში. ამ ნავით გაემგზავრნენ დიდ პოლა-
რულ ექსპედიციაში მეცნიერები ზღვით მგზავ-
რობის ცნობილ შვეციელ პროფესორ ადოლფ-
ნორდენშელტის ხელმძღვანელობით.




„ვეგას“ ყინულოვანი გზით უნდა შემოევლო მთელი აზიის ირგვლივ. მგზავრობა მშვიდობიანად მიმდინარეობდა. ნავები ყინულებს თითქმის სრულიად არ აწყდებოდა, ბური და ქარიშხალი აფერხებდა მათ ჩქარ მგზავრობას. აგვისტოში ვეგამ მიაღწია ჩელუსკინის კონცხს. სექტემბერში ნორდენშელდის ექსპედიციამ დაიზამთრა ჩუკოტკის ნახევარკუნძულზე. ექსპედიციამ მთელი ნახევარზამთარი გაატარა მეცნიერულ მუშაობაში. ზაფხულში „ვეგა“ განთავსუფლდა ყინულებისაგან და 1879 წლის 20 ივლისს გავიდა ბერინგის სრუტეში.

ჩრდილოეთის დიდი გზა აღმოჩენილ იქნა. „ფრამ“ — ნორვეგიულ ენაზე ნიშნავს „წინ“.

კაცი იყო. შემოდგომაზე „ფრამმა“ გადარა ჩელუსკინის კონცხი და მოხვდა რა ნორდისტორიულ სკის კუნძულთან, ჩაიჭედა ყინულებში და იქვე დაიზამთრა. ნანსენს წინასწარ შესწავლილი ჰქონდა, რომ პოლარულ ყინულებს ნავი ჩრდილოეთის პოლუსის მიმართულებით უნდა ემოძრავებია, და ასეც მოხდა. 3 წლის განმავლობაში გრძელდებოდა მსოფლიოში ცნობილი ყინულების დრეიფი მასში ჩაიყიდა „ფრამით“. ჩრდილო პოლუსს ნანსენმა ვერ მიაღწია, მაგრამ მიუახლოვდა ყველაზე უფრო, ვიდრე ვინმე მისი წინამგზავრთაგანი. ნანსენის „ფრამმა“ გადიტანა პოლარული ყინულების სიმძაფრე და გამარჯვებული უცნებლად დაბრუნდა ნორვეგიაში.

ეს საბჭოთა კავშირის სახელგანთქმული ყინულმჭრელი გემი „სიბირიაკოვია“. 1933 წ. ზაფხულში 2 თვეისა და 4 დღის განმავლობაში მან გაიარა ექვსი ზღვა: ოეთრი, ბარენცის, კარსის, ძმათა ლაპტევების, აღმოსავლეთ ციმბირის და შეცურდა წყნარ ოკეანეში.

„სიბირიაკოვის“ ექსპედიციის უფროსი იყო პროფესორი შმიდტი, თანაშემწე — პროფესორი ვიზე, ხოლო გემის კაპიტანი ვორონინი. ყინულმჭრელმა გემმა გმირულად გადალახა




ასეთი სახელწოდება მისცა ნავს ნორვეგიის ცნობილმა პოლარული ზღვის მოგზაურმა ნანსენმა. „ფრამ“ კარგა მოზრდილი ნავი იყო, მაგარი ხისგან გაკეთებული და ორთქლის მანქანის ძალით ამოძრავებული.

42 წლის წინათ ნანსენმა დაიწყო თავისი არაჩვეულებრივი მგზავრობა. ნავზე სულ 11

ჩრდილოეთის მძიმის მძაფრი ყინულები, სადაც ყინულმჭრელს უქადდა ჩაიყინა. იქ ყინულებს ამტვრევდენ ასაფეთქებელი ნივთიერებით, რომელსაც ამონალი ქვია; და გემიც წინ მიაწევდა. მაგრამ ჩუკოტის ნახევარკუნძულთან „სიბირიაკოვს“ მოელოდა ძნელი გამოცდა. ყინულმჭრელის ქვეშ მყოფმა ყინულის დიღმა


ნატეხმა დაჯახებისას გააფუჭა გემის ქვეღა ნა-
წილები, მაგრამ სიბირიაკოველები სულით არ
დაცემულან.



7 დღის გაფუჭებული ნაწილები შეაკეთეს
და, მიარღვევდა რა პოლარულ ყინულებს, მი-
დიოდა წინ.

კოველებს საკუთარი ძალით აღარ შეეძლოთ.
მძლავრი ყინულმჭრელი გადიქცა უმოქმედო ტივად, რომელიც ყინულებზე უკარისტოდა.

თად ზღვის დინებამ გადაიტანა აღმოსავლეთი-
საკენ. აქ კი მთლიანი ყინული დაიბაზა და ნა-
წილ-ნაწილად დაიშალა. სიბირიაკოველებმა



მაგრამ მეორე დღეს ყინულმჭრელს უბედუ-
რება ეწია. პოლარული ყინულის მძლავრმა
დაჯახებამ დაამტვრია წინადღით შესწორებუ-
ლი ნაწილები. ამის გამოსწორება კი სიბირია-

ნახშირის შესანახი ტომჩებიდან შეკერეს იალ-
ქნები, რომლის დახმარებითაც, მიჰყვნენ რა ქა-
რის ქროლვის მიმართულებას, გავიდენ ბერინ-
გის სრუტეში.

რ — 6.

სიმღერა

მუსიკა თამარ შავერჩაშვილისა სიმღერი გიორგი კაჭახიძის

პიანინი (Maestoso)

Piano

S.

Canto

1) რა კარგია ცხოველისა, გამო-ლო-ნა, გამო-ლო-ნა
ვინდოვისა, გამო-ლო-ნა, გამო-ლო-ნა, გამო-ლო-ნა
3) რა კარგია ცხოველისა, გამო-ლო-ნა, გამო-ლო-ნა, გამო-ლო-ნა
3) რა კარგია ცხოველისა, გამო-ლო-ნა, გამო-ლო-ნა, გამო-ლო-ნა

poco a poco cresc.

Da capo del sogno

2. რა კარგია ცხოველისა,
გვემატება ძალის
ვიზუალური და წინ მივალო
ვეექოთ, რა დაგვალონებს
ვეექოთ რისით წაგვილოს
სიმღერებმა მაღალმა ჰე-ჰე
ჰენ დაიშვე ერმი და
ბანი მიეც მაყვალა ჰე-ჰე



საქართველო
პრესური

ვესი 75 კუპ.

საქართველოს პ. კ. რ. ფონდალური
გიურის და განათლების სახალხო კო-
მისამიაზის უსასალი ჩატვირთვის



წელი ერი

კიბე წელი ერი

გამოდის თვეუბი ერთხელ

ყოველგა
პიონერები
უნდა
გამოიჭიროს

უცრინალი

კიბე ერი

უცრინალ „კიონერის“ ყველა ნო-
მერში დაიგეფდება საინტერესო
მოთხოვები, ლექსები პიესები და
გასართოები • • • • • • • •

ფრ. „კიონერის“-ს რედაქცია.